№ 2848
კვირა,
19 ივნისი

ცნობის ფურცელი

№ 2848
კვირა,
19 ივნისი

ხელისმოწერის ფასი: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით — 5 კ. განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტფილისი № 37.

დღევანდელ ნომერთან ერთად მკითხველებს ურიგდებათ ექიმ ვახტანგ დ. ლამბაშიძის სანატორიუმისა და საზაფხულო სამყოფის განცხადება.

19 ივნისს „ბელ-ვიუს“ ბაღში გაიმართება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ
სეირნობა და ბაზარი
მიიღება მოწირულება ბაზრობისთვის „საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა თავად-აზნაურობის ქარვასლა)
შესასვლელი ფასი 25 კ., ბავშვებისთვის 15 კ.
ბაზარი დაიწყება 2 საათზე და გათავდება საღამოს 10 საათზე.

წელი — სანატორიუმი — მეორე
00 ფუტის სიმაღლე.
საზაფხულო სამყოფი
15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე.
ექიმის ვახტანგ დ. ლამბაშიძისა
პატარა-ცემში, ბაკურიანის რკინის გზაზედ.

მიიღება ქალ-ვაჟნი 8—16 წლამდე: სისხლნაკლებნი, დასუსტებულნი, მოქანცულნი, ნაავადმყოფარნი, მადაკარგულნი, ჭაობის ციებით შეპყრობილნი და საერთოდ ვისაც ესაჭიროება მოღონიერება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის ჰაერი, ფიჭვნარი, დასვენება, უხვი საზრდო, გასეირნება და სამკურნალო ვარჯიშობა, წყლით ექიმობა შეფარდებული თითოეულ ბავშვის აგებულობასთან.

დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება პირადად ანუ წერილობით ექიმ ვ. ლამბაშიძესთან. ტფილისი, [illegible]ზის ქ., № 46, 4—5 საათამდე კვირა დღის გარდა. (0—15).

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ვ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.
შეუდარებლად. (0—46)

მეორე საზოგადო კრება
ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა
საზოგადოებისა
დანიშნული 19 ივნისისთვის ქალაქის საბჭოს დარბაზში.

განსახილველი საგნები: ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა ნივთიერი მდგომარეობა და პრესის ვითარება კავკასიაში. კრება დაიწყება დილის 11 საათზე. შესვლისას წარმოდგენილ უნდა იქნას საწევრო ბილეთი.

შენიშვნა. წევრებს, რომელთაც არ შეუტანიათ წლოვანური გადასახადი, შეუძლიანთ შეიტანონ კრების დღეს. (1—უ—1)

ახალი ბუფეტი
„არარატი“
(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, [illegible] სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).

სუფთად და ლამაზად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. [illegible] ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშმისათვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო [illegible] ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ფასი: ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი 40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა 65 კაპ.
(თვ.—6.—2[illegible] პატივის ცემით ვანო.

გაილ[illegible]ტრანი ბაღით
„კა[illegible]აზი“
(მეორე ფუნიკულერიდან)
მამა-დავითის გზაზე, გრილად მოწყობილი ინეცებით.
მზადდება ევროპიული და აზიური სადილი:
ერთი ბლუდი, 1 რიუმკა არყი ან ღვინო . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ღვინო ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—1 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.
ყოველ დღე საღამოს 8 საათიდან 11 საათამდის დაუკრავს მუსიკა მე 1 კავ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრ მართველი კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანიძე.
(15—244—12)

ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მთავრობა აცხადებს, რომ VI და VII კლასებში მოწაფეებად ნამყოფთ, აგრეთვე რეალური სასწავლებლის დანარჩენ კლასების მოწაფეებს შეუძლიანთ ეგზამენი დაიჭირონ ყველაგან და აგრეთვე განმეორებითი ეგზამენი ზოგიერთ საგანში, რომელშიაც მათ გამოცდის დროს ცუდი ნიშნები მიიღეს. ეგზამენები მოხდება აგვისტოს 20 სექ[illegible] 20. ვისაც სურს გამოცდაზე გამოცხადდეს, თხოვნა უნდა შემოიტანოს ეხლავე
(3—6.—1) დირექტორი ვ. ბაბანსკი

ექიმი
ვ. ს. მუ[illegible]ვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა შაბათისა. [illegible] კირკის და დიდმთავრის ქუჩების კუთხეში სახლი [illegible]შვილისა № 14.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოსი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—31)

ექიმი
ნ. ტ. მულინი
ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დილით 12—2 და საღამოს 5—8 საათამდე, სუდებნი ქ. № 26. (20—6.—17)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდია. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—8. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—26)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

17 ივნისი

პარიჟი, 17 ივნისი. „ეკლერ“-ს დეპეშა მოუვიდა რომიდან, რუსეთის ელჩი მურავიოვი პარიჟში მოვა ნელიდოვის ადგილას, უკანასკნელი კი ზავის შესახებ მოლაპარაკებაზეა დანიშნული რწმუნებულად.

ტოკიო, 17 ივნისი. ოფიციალური. გუშინ პორტ-არტურში წყლიდან ამოიღეს ჯავშნოსანი „პერესვეტი“.

ნიუ-იორკი, 16 ივნისი. იაპონიამ ამ უკანასკნელ ხანებში დაახლოვებით 15 მილიონ დოლარის საამშენებლო მასალა, მანქანები და რკინის გზის მასალები შემოგვიკვეთა.

ბერლინი, 16 ივნისი. იმპერატორმა ადმ. კესტერი გენ.-ადმირალად დანიშნა. ამნაირი თანამდებობა არ არსებობდა დღემდე გერმანიაში.

პარიჟი, 16 ივნისი. მთავრობამ ნება დართო გერმანიის აგენტს, ინახულოს სამხედრო პორტები ბრესტი და ლორიანი და აგრეთვე საზღვაო დაწესებულებანი.—სულთანს განზრახვა აქვს, დაჰყოს იემენი ოთხ ვილაიეტად და თვითეულში არაბი გენ.-გუბერნატორი დანიშნოს მმართველად.—საფრანგეთის პოლიციამ ტულონში დაატუსაღა გერმანელების ორი ჯაშუში, იმ დროს, როცა ერთი იმათგანი ფორტის სქემას იღებდა ქაღალდზე.—ახლო მომავალში მოხდება საბოლოო შეთანხმება საფრანგეთსა, იტალიასა და ინგლისს შორის. ამ შეთანხმებას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს საფრანგეთს, რადგანაც მის ხელში გადავა ჯიბუტის რკინის გზა.

მოსკოვი დაიწყვა ტრიოხგორნის ლუდის ქარხანის ორი კორპუსი და ორცხ ხის შენობა, სადაც ლუდი ეწყო ბურჯღლებში. ზარალი ნახევარ მილიონამდეა. ქარხანა „ნიუ-იორკ“-ში გაიფიცნენ ოსტატები და მუშები.

ორენბურგი. ტაშკენტის რკინის გზის ოთხასი მიწის მთხრელი გაიფიცნენ იჯარადართან მოურიგებლობის გამო.

ევპატორია. ქალაქის ქუჩებში გაიარა მანიფესტანტების ჯგუფმა და შეიარა ქალაქის გამგეობასა და სკვერში. მანიფესტანტებმა ორი უტყვიო პატრონა გაისროლეს და დაიშალნენ.

მოსკოვი. მობილიზაციის საქმე მშვიდობიანად მიდის.

ხოტინი. სამაზრო ერობამ მოუსპო თემში დაჭრილ, დასახიჩრებულ და დაავადმყოფებულების ოჯახებს დახმარების ძლევა. ბევრი მათხოვრობას დაადგა.

კავკავი. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ლაშესა და ბალთას შორის არავითარი ძარცვა-გლეჯა არ მომხდარა, რასაც დეპეშით იუწყებოდნენ.

ლოძი. ვინაიდან აქაურ რკინის გზებზე ხშირად სინჯავენ მგზავრებს მათ ვინაობის გასაგებად, ამიტომ გურჩევთ ლოძში მომავალთ უსიამოვნების ასაცილებლად, პასპორტები იქონიონ და აგრეთვე, თუ შესაძლებელი იქნება, მოგზაურობის მიზნის დამამოწმებელი ქაღალდებიც. ქალაქში სრული სიმშვიდეა. ადგილობრივი ცხოვრება ჩვეულებრივის გზით მიმდინარეობს.

ვიტებსკი. ღამით დასჭრეს ორის ტყვიით ბოქაული კუდრიავცევი. ჭრილობა საშიშია. გამოძიება სწარმოებს.

ლონდონი. პრინცი და პრინცესა არისუგავა მიიპატიჟეს სასადილოდ ლორდ-მერთან. სადილზე იყვნენ ლანსდაუნი, ჩემბერლენი და სხვა წარჩინებული პირნი. ლორდ-მერმა სადღეგრძელო დალია პრინცისა და იმედი გამოსთქვა ზავის დაუყონებლივ ჩამოგდებაზე. პრინცმა მადლობა უთხრა კარგის დახვედრისთვის და განაცხადა, რომ მიკადომ ტელეგრაფით უწყალობა ლორდ-მერს იაპონიის ორდენი „ამომავალი მზისა“.

ვარშავა. „კურიერ ვარშავსკი“-ში არქიეპისკოპოსის პოპელის მოწოდებაა მოთავსებული ლოძის მუშებისა და დამქირავებელთადმი, რომელშიაც იგი, სცნობს რა საჭიროებას მუშათა საკითხის მოწესრიგებისას, ჰკიცხავს ჟლეტა-ხოცვასა და იწვევს მუშებს მშვიდობიანის შრომისაკენ და დამქირავებელთ მუშების სამართლიანისა და ყურადღებით მოქცევისაკენ.

17 ივნისი.

ხარბინი, 17 ივნისი. მანჯურიაში ჯერ არ დამდგარა წვიმების პერიოდი. ჯარებში სრული სიწყნარეა. ყველა ადგილობრივ ლაზარეთებსა და ჰოსპიტლებში სამ ათასზე ნაკლები დაჭრილ და ავად-მყოფია.

სიტიაზა, 17 ივნისი. იაპონელებმა ბეჯითად დაზვერეს ყველა მხარეები. მარცხენა ფრთაზე იაპონიის რაზმები შეეცადნენ სამხრეთიდან მდ. ასინგოუს ხეობაში გაჭრილიყვნენ, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი ცინხეს ხეობაში. ჩვენმა მოხალისეებმა იერიში მიიტანეს ხუნხუზთა ბრბოზე. მოკლულია 6 ხუნხუზი, ხელთ იგდეს იარაღი და 17 ცხენი.

შანხაი. იაპონიის მთავრობამ ბრძანება გამოსცა, რომ ყველა საზღვარ-გარედ მცხოვრები იაპონელი, 20 წლისაზე მეტი, დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს ჯარში. შანხაიდან ამ კვირაში 300 კაცი წავა.

სუეცი, 17 ივნისი. დღეს აქ „დნეპრ“-ი მოვიდა.

ცარსკოე სელო, 14 ივნისი. მეორე დღეა მობილიზაციისა ყველაფერი წყნარადაა. გაწვეულთ ქალაქი სადილს უმართავს. თვითეულს საჩუქარს მისცემენ.

ხარკოვი. ლებედინსკის მაზრაში, საითკენაც გაემგზავრა გუბერნატორი, გლეხები ჯგუფ-ჯგუფად დადიან მამულებში და ეკონომიებში მომუშავეთ საქმეზე ხელს აღებინებენ.

ვარშავა. პოლონურმა მუშათა პარტიამ მოწოდება გამოუშვა მუშებისადმი სოციალისტურ პარტიის წინააღმდეგ, სადაც ის იწვევს ამხანაგებს, დაუბრუნდნენ წესიერ შრომას, რათა ამით თავი დააღწიონ ოჯახების მომავალ შიმშილობას და ქვეყნის დაღარიბებას.

კრასნოვოდსკი. სივანში მაზრის მოხელეები წავიდნენ. გლეხებზე აღარ მოქმედებს ხვეწნა; მათ გაჰყვეს პური და ძალა დაატანეს ტომრებით მიეტანათ მათთვის სახლში. სთიბავენ მინდვრებს. მოურავი დაიმალა, მის შვილს სცემეს. მოელიან გუბერნატორს ჯარით.

ბერლინი, 17 ივნისი. „ლოკალ ანცაიგერ“-ი იუწყება, რომ ბიულოვსა და ბიგურას ბაასი ჰქონდათ და გადასწყვიტეს, მაროკოს შესახებ კონფერენცია შესდგება.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით გობთორკის გუბერნატორად ნამყოფს მიასოედოვს, ხაზინიდან მისთვის გადადებულ ჯამაგირს გარდა, ყოველ წლივ 2 ათასი მანეთი მიეცა იმისათვის, რომ მან სისხლი დაღვარა თავის თანამდებობათა ასრულების დროს და მით დაამტკიცა თავისი გამოჩენილი და ერთგული მოღვაწეობა.

პეტერბურგი. მობილიზაციის დროს სამაგალითო წეს-რიგია.

ბათუმი, 17 ივნისი. აქ ცნობა მოვიდა, ბათუმს უცხოეთის გემები აღარ ივლიანო.—ექსპორტიორები ძლიერ არიან შეწუხებული საზღვაოსნო საზოგადოების ამგვარ განკარგულებით.

კალუგა. ბობროვსკისა, ჟიზდრინსკისა, კოზელსკისა და მოზალსკის მაზრებში მობილიზაციის საქმე კარგად მიდის.

კალიში, 17 ივნისი. მანიფესტაციის გამართვა მოინდომეს, მაგრამ პოლიციისა და ჯარის წყალობით ცუდათ ჩაუვარდათ განზრახვამ.

ბელოსტოკი. ბუნდის პარტია პროკლამაციებს ავრცელებს, რომ იგი აცხადებს, უკანასკნელ დროს მკვლელობა ბუნდის წევრებს არ ჩაუდენიათ და, ალბათ, ვარშავიდან ჩამოსულ სუტენერების საქმეაო.

ტაშკენტი. მოვიდა ესენტუკს მიმავალი ემირი ბუხარისა.

ბუდაპეშტი. უნგრეთის სხვა და სხვა კუთხეებში მეურნე მუშებში თანდათან ვრცელდება გაფიცვა, ანადგურებენ მემამულეების ქონებას და ჯეჯილს. გაფიცულებს შეტაკება მოუვიდათ ჟანდარმებთან. ბევრია დაჭრილი, ერთი მოჰკლეს.

პეტერბურგი. ოფიციალური. ფინანსთა სამინისტროს განცხადებით ტყუილია ხმები, თითქოს პენსიებზე ბაჟი შემოსულიყვეს.

მოსკოვი, ქალაქების წარმომადგენელთა სხდომაზე ერთხმად მიიღეს დადგენილება, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ იქნას შემოღებული ხელ-უხლებლობა პირადობისა, ბინისა, თავისუფლება სიტყვისა, პრესისა, შეკრებისა, კავშირებისა, პოლიტიკური და რელიგიოზური ამნისტია და გაუქმება საიდუმლო პოლიციისა, თორემ სხვაფრივ შეუძლებელია წარმომადგენელთა არჩევნების მოხდენა. ბულიგინის პროექტის განხორციელება მხოლოდ გაამწვავებს და გააძლიერებს უკმაყოფილებას. ქალებისადმი არჩევის უფლების მინიჭების საკითხი, ხმის უმეტესობით, იქნა მიღებული.

კრონშტადტი, 17 ივნისი. გაიფიცნენ საკომერციო გემების გადამტვირთველნი. ხუტეის ბირჟის მუშები—სულ რამდენიმე ათასი

პეტერბურგი. გამოცხადდა ღერბის გადასახადის მომატება. განკარგულება ფინანსთა მინისტრისა 1905 წ. 1 სექტემბერს უნდა შევიდეს ძალაში.

ოფიციალური. უმაღლესი ბრძანება უმაღლეს სენატს: 1. რათა მოისპოს ერევნის გუბერნიაში არეულობანი, საჭიროდ ვსცნობთ: ა. გამოცხადდეს ერევნის გუბერნიაში ომიანობის დროის წესები; ბ. მიეცეს ჩვენს მოადგილეს კავკასიაში ის უფლებები, რა უფლებებიც ეძლევა ომიანობის დროის წესების ქვეშ მყოფ ადგილების სამხედრო მთავრობას და განსაკუთრებული უფლებები და თანამდებობანი სახელმწიფოს წესრიგისა და მშვიდობიანობის დაცვის სამოქალაქო უწყების ადმინისტრატიულ ორგანოებისა; გ. ნება მიეცეს კავკასიის ნამესტნიკს მე-19 მუხ. ძალით მისდამი, ამ შემთხვევაში, მიკუთვნებული მინდობილებანი გადასცეს საგანგებოთ ამორჩეულს პირს, იმ პირობით, რომ მასვე ჰქონდეს უფლება გააუქმოს ამ პირის სახელმწიფო წესრიგისა და მშვიდობიანობის დაცვის შესახებ განკარგულებანი. (შემდეგი იქნება).

МУЗЕ[illegible] РЕВОЛЮЦИИ

ჟურნალ-გაზეთებიდან

საუბარი ვიტტესთან. გაზეთ „პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტს უსაუბრნია ერთ წარჩინებულ მოხელესთან; პირდაპირ არ ასახელებს კორესპონდენტი მოსაუბრეს, მაგრამ აწერილობიდან სჩანს, რომ სერგეი ვიტტეა. სხვათა შორის, ვიტტეს უთქვამს: „მჯერა, რომ მალე ზავი იქნება, რადგან იგი აუცილებელი არის: საქმე ცუდათ მიდის, ფული ცოტაა და თითქმის არც ერთი ოჯახი არ არის რუსეთში, რომ არ გლოვობდეს რომელიმე წევრის დაკარგვას. უსაზღვრო მწუხარებამ მოიცვა მთელი რუსეთი, რომელიც ღრმად იტანჯება ამ საშინელ ომიანობით. ომი უნდა შესწყდეს... მაგრამ უნდა გატეხილი ვსთქვათ, რომ ძალიან ცოტას ვმეცადინობთ გაუადვილოთ რუზველტს საქმე... რასაკვირველია, იაპონელები მძიმე პირობებს წარმოგვიდგენენ, მაგრამ უკიდურესობამდე არ მივლენ. იაპონელი არა თუ მშვენიერი ჯარისკაცი, კარგი აფიცერი და ნიჭიერი გენერალია, შორს გამჭვრეტი დიპლომატიც არის. იმდენად დაბრმავებული არ არიან იაპონელები, რომ გვაიძულონ სასოწარკვეთილებით ვიომოთ. ამიტომ ჩვენც უნდა ვიფიქროთ შერიგებაზე და საზღვარს არ უნდა ავცდეთ.

არ ვფიქრობ, რომ დასუსტებული გამოვიდეთ განზრახულ კონფერენციიდან, რომლის მიზანია ევროპაში მშვიდობიანობის აღდგენა. დიახ, იაპონია დიდ სამხედრო საზღაურს მოითხოვს, და ჩვენც იძულებული ვიქნებით გადავუხადოთ: თავმოჭრილი კაცი თმას აღარ უნდა სტიროდეს. ეს სამხედრო საზღაური ჩვენი უზრუნველობის და ზერელობის ხარჯი იქნება. იაპონია არ მოგვთხოვს შეუსრულებელ პირობებს; ამ მხრივ იგი შესაფერ რჩევას მიიღებს ინგლისისა და ამერიკაში. ბოლო დრომდე რუსეთი უძლიერესი სახელმწიფო იყო: ფლოტი დიდი იყო, ჯარი დისციპლინის მორჩილი და ძლიერი და ხალხი, თუმცა უვიცი და ღარიბი იყო, სიყვარულის, მორჩილების და პატივის ცემის გრძნობით იყო გამსჭვალული. ყველა სახელმწიფო მოწადინებული იყო რუსეთთან მეგობრობას და ყველგან იმისი შიში ჰქონდათ, რომ ეს სახელმწიფო ყველასა და ყველაფერს გასრესს. დამამცირებლის ღიმილით შესცქეროდა ევროპა პაწაწა იაპონიას, როცა ბუმბერაზ რუსეთს დაეტაკა. მაგრამ ეს ბუმბერაზი დამარცხდა და ყველაფერი შეიცვალა. ეხლა ისევ ვილჰელმს (გერმანიის იმპერატორს) მიჰმართეს და 15—20 წლის განმავლობაში გაბატონებული იქნება კიდეც; გერმანიამ მოიგო ჩვენ სამწუხარო ავანტიურის მიზეზით და მოიგო, შეიძლება, იმაზე მეტი, რაც საფრანგეთზე გამარჯვებამ მისცა. ერთი ჯარის კაცის გაუწირავად, ერთის გროშის დაუხარჯავად ჩვენის სისუსტის მიზეზით გერმანიამ მოიგო იმდენი, რამდენსაც ჩვენ ვერ მოვიგებდით, თუნდა გაგვემარჯვა კიდეც.“

რუსეთის ლიბერალები და ეხლანდელი მოძრაობა

რუსეთის არაჩვეულებრივმა სამარცხვინო დამარცხებამ მანჯურიასა და შორეულ აღმოსავლეთის წყლებში აჰხადა ფარდა იმ წყლულს, რომელიც უუფლებობამ შექმნა და რომელსაც გახრწნილება ეწოდება. რუსეთის ბიუროკრატიულმა მთავრობამ იგრძნო, მრისხანედ ჩაშავებული ღრუბელი ხალხის გულისწყრომისა [illegible] მოუახლოვდა იმას და დღეს ხვალ ჭექა-ქუხილით დაატყდება თავს იმ პირთ, ვინც საუკუნეთა განმავლობაში სისტემატიურად ამზადებდა რუსეთის შინაურ ცხოვრების ეხლანდელს უზომო გათახსირებას... რაც ვერ შეასრულა გონიერებამ და შორს მხედველობამ, ის განახორციელა შიშმა და განსჯის დღის მოახლოვებამ. საშინელის განკიცხვის მოლოდინში ბიუროკრატიის მწვერვალიდან გაისმა ხმა მოწოდებისა ახალის ცხოვრებისაკენ და სახელმწიფო ღონისძიებისაკენ... „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“, ამბობს ქართული ანდაზა. ბიუროკრატიამ განიზრახა განკიცხვის დღის თავიდამ აცილება და გაიმართა ორაზროვანი, ორსახიანი მოქმედება, რომელიც ერთსა და იმავე დროს ძველსაც ემღაუქება და ახალსაც. დახავსებულს ბიუროკრატიულ რეჟიმსაც მთელის ძალღონით იცავს და აღორძინებს, ახალ ფორმათა შექმნასაც ჰპირდება ხალხს.

ამ ნიადაგზე შემუშავდა საკომპრისო თეორია, რომელიც ეხლანდელ საერო ბედშავობას ბიუროკრატიულ ხის ფოთლებს აბრალებს და თვით ძირსა და ფესვებს კი ხალხის ინტერესების ბურჯადა სთვლის. რაც ხანი გადის, ცხოვრება უფრო და უფრო არკვევს ამ თეორიის შეუწყნარებლობას, იმის სიყალბეს, და ეხლანდელ წეს-წყობილების სათავეში მდგომნი იძულებულნი არიან, უფრო ნათლად და ცხადად აღიარონ, სად არის დაფარული მთავარი მიზეზი რუსეთის ხალხის უკუღმართის მდგომარეობისა. კომპრომისობის თეორია ხელსაყრელია რუსეთის საზოგადოების იმ მცირე ჯგუფისთვის, რომელიც ფაქტიურად წინადაც რამდენადმე მონაწილე იყო ბიუროკრატიულ მანქანის მოძრაობისა და დღეს აი სწორედ ეს ჯგუფი უახლოვდება ბიუროკრატიულ სისტემის უმაღლესს საფეხურებს.

რუსეთის ლიბერალები აწინდელ კანონმდებლობის ძალითაც თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ ხალხის ცხოვრებაში, რადგან საერობო და საქალაქო თვით-მმართველობა მათს მონოპოლიად იყო გადაქცეული. დღემდე ბიუროკრატია მტრულის თვალით უცქეროდა ყოველსავე თვით-მმართველობას და ამიტომ ლიბერალებიც თვალწუნებული იყვნენ. მაგრამ დრონი იცვალნენ; ეხლა თვით-მმართველობა თავის თავად ბიუროკრატიის უმაღლესს წრეებში მოწონებულია და თითქმის პირველს პლანზედაც არის წამოყენებული. საცილობელია და სადაოა, თუ ვისგან შესდგება თვით-მმართველობა და რა უფლება მიენიჭება იმას. [illegible] საზოგადოებრივი ინტერესი

მაღლა და მედგრად ამტკიცებს, თვით-მმართველობა სრული უნდა იყოს, იმის უფლება არავითარს ხელოვნურს წინააღმდეგობას არსად არ უნდა ჰხედავდესო, ბიუროკრატიული წრეები-კი ამბობენ, სრულიად საკმარისია თვით-მმართველობას თათბირის ხმა მიენიჭოსო; საზოგადო ინტერესი მოითხოვს, რომ თვით-მმართველობისთვის ყველა მოქალაქეს თანაბარი და თანასწორი უფლება ჰქონდეს, ლიბერალები და ბიუროკრატია-კი ამ უფლების შეზღუდვას აპირობენ ქონებრივის ცენზით და სხვა საშუალებით. ამ გვარად დღეს რუსეთის ბიუროკრატია და ლიბერალები თვალსაჩინოდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს და, უნდა ვიფიქროთ, რომ ამის შემდეგ ისინი ხელ ჩაკიდებულნი იმოქმედებენ.

ექვს ივნისს საერობო მოღვაწენი წარუდგნენ რუსეთის იმპერატორს და თავადის ტრუბეცკოის პირით ამცნეს ხელმწიფეს ზოგიერთი თავისი აზრი და შეხედულება. საერობო მოღვაწეთა სიტყვით, „რუსეთის ხალხს ჯერ არ დაუკარგავს მამულიშვილური გრძნობა, ჯერ კიდევ სწამს თავისი მეფე და მტკიცე უძლეველობა რუსეთისა და სწორედ ამიტომაც ვერ მიმხვდარა, რად მოსდის ასეთი მარცხი“; ერთად ერთი უბედურება, თ. ტრუბეცკოის სიტყვით, ის არის, რომ კეთილ ცვლილებათა პირდაპირი მტრები ჰკვეცავენ მათის უდიდებულესობის კეთილ განზრახულებებს, ასე რომ „მეფეს ჰსურს სიკეთე, ხოლო ბოროტება-კი ითესება, მეფე უჩვენებს ერთზე და კეთდება-კი მეორე“. ამ გვარად, საერობო მოღვაწეთა აზრით, დღევანდელის უწესრიგობის მიზეზი ხალხის თვალში არის ღალატი და აი, ისიც მოღალატეებს ეძებს ყველგან. საერობო მოღვაწეებმა მოხერხებულად აუქციეს გვერდი იმ საკითხს, ექნება თუ არა წარმომადგენელთა კრებას უფლება სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტისა, თუ მარტო ოდენ თათბირი გაიმართება იქ, მოხერხებულადვე დაანებეს საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ უნდა აირჩიოს წარმომადგენლები. ყოველივე ეს ერთად გვიმტკიცებს, რომ ექვს ივნისს საერობო მოღვაწეები სრულიად იმ ენაზე არა ლაპარაკობდნენ, რომელიც დღეს რუსეთის ხალხს ესმის და მოსწონს. სხვა დროს, ე. ი. ვიდრე განმანთავისუფლებელი მოძრაობა დაიწყებოდა, საერობო მოღვაწეთა სიტყვა სანუგეშო და საიმედო მოვლენად იქნებოდა მიჩნეული, დღეს-კი, როდესაც ხალხმა პირდაპირ და კატეგორიულად დააყენა საკითხი რუსეთის მომა- [illegible] ნება და აზრის დაუმთავრებლობა არავის არ მოეწონება. თუ წინად ეს ორ-აზროვნება ნიშანი იყო ხალხის ინტერესების დაცვისა, დღეს, პირიქით, ორ-აზროვნად მოლაპარაკე ხალხის ინტერესების გარეშე სდგას და თავის ვიწრო ინტერესების დამცველად გამოდის. წინად მასკ.ს ბიუროკრატიისაგან დასამალავად იკეთებდნენ, დღეს კი ამ მასკით ხალხისაგან ჰფარავენ თავის თავს.

გ. რ.

ტფ. სათავად აზნაურო სკოლის კომიტეტის ანგარიშის გამო.

ჩვეულებისამებრ კომიტეტმა დააგვიანა წლიურ ანგარიშის გამოქვეყნება და ძალა უნებურად ეჭვი ებადება კაცს ასეთ სისტემატიურ დაუდევრობის გამო. ნუ თუ ასე ძნელია ანგარიშის დაბეჭდვა და მერე ისეთის, როგორსაც კომიტეტი ადგენს ხოლმე?

კომიტეტის მოქმედების და მოღვაწეობის დასახასიათებლად ანგარიშის ერთ ადგილს შევეხებით.

ამ ათის წლის წინად სკოლის კომიტეტმა შეიძინა სკრის მამული „იმ განზრახვით, რომ აქ დავაარსოთ, როცა გარემოება ხელს შეგვიწყობს, ჩვენ საჭიროებათა შესაფერი სამეურნეო სასწავლებელი“. გარემოებამ ხელი არ შეგვიწყო და სამეურნეო სასწავლებელიც ვერ დავიარსეთ. სამაგიეროდ სკრის მამული, ყოველ მხრივ მოხერხებული და გამოსადეგი, წლითი წლობით უფრო და უფრო დიდ ზარალს იძლევა. არ ყოფილა ისეთი წელიწადი, რომ დანახარჯი მამულზე გაცილებით მეტი არ ყოფილიყოს შემოსავალზე, ბანკის გადასახადიც რომ დანახარჯად არ ჩავთვალოთ. წელს სკრის მამულზე უზარალნია საზოგადოებას 5609 მ. და 92 კაპ. ყოველ წელს მოახსენებს ხოლმე კომიტეტი საზოგადო კრებას: მამულს ვაკეთებ და ვაწყობთ და იმედია შემდეგში ზარალი აღარ გვექნებაო. მაგრამ ამ ათის წლის განმავლობაში ეს ზარალი თუ მატულობს, თორემ არ კლებულობს. ნუ თუ ჩვენი საზოგადოება ისე მდიდარია, რომ ყოველ წელს სამასოთხას თუმანის გადაყრა არაფრად მიაჩნია. დამახასიათებელია მამულის მოვლის ზოგი წვრილმანიც. *) მაგალითად, ბოსტნის გამართვაზე ხარჯავს კომიტეტი 77 მ. და 70 კაპ., შემოსავალი-კი ამ ბოსტნისა ხუთი თუმანია; მოურავსა და მოჯამაგირეებზე კომიტეტი ორას თუმანზე მეტს ხარჯავს წელიწადში. რისთვის? განზრახვები შეიძლება ძალიან კარგი ჰქონდეს კომიტეტს, მაგრამ საქმით-კი გამოდის, რომ მთელი ეს მამული სინეკურად გაუხდიათ მოურავებისათვის. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ეხლანდელ მოურავს ბატონ ცხვედაძეს (ნიკოლოზ ზებედის ძეს-კი არა, მის ძმას) საანგარიშო წელს მიუღია „შემწეობა“ ავადმყოფობაში 211 მ. და 95 კ. და „წამლობისთვისაც 414 მანეთი. სულ 625 მ. და 25 კაპეიკი. თუ მახსოვრობა არ გვღალატობს, ამავე მოურავს წინადაც მისცეს ოც თუმანზე მეტი ამავე „ავადმყოფობისათვის“. მოსამსახურეთა დახმარება კარგი საქმეა, მაგრამ საზოგადოების ხარჯით უსაზღრო ქველმოქმედება და საზოგადოების მამულის ავადმყოფ ნათესავთა თავ-შესაფარად გადაქცევა, ელემენტალურ ეთიკის დარღვევად მიგვაჩნია.

[illegible] ოდე სიტყვაა ნათქვამი მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ. მაგრამ ეს ორიოდე სიტყვაც მთელის სიგრძე-სიგანით გვიყენებს წინ ჩვენი სკოლის კომიტეტს. „საანგარიშო წელს არც ჩვენი სკოლა ასცდა მოწაფეთა საერთო მოძრაობას, თუმცა ჩვენი სკოლა კერძოა და საზოგადოება ინახავს თავის ხარჯით და წესდების თანახმად თვითონვე, მისგანვე არჩეულის კომიტეტის საშუალებით, განაგებს სწავლისა და საოჯახო საქმესა, რასაც მოკლებულია ყველა საერო და საქალაქო სკოლები და რასაც ეხლა სცდილობენ მთელ რუსეთში მიიღონ, ე. ი. რომ თვითონ სა[illegible]ოება იყოს გამგე სკოლისა, როგორც [illegible], ისე საოჯახო ნაწილის [illegible]

როგორც ვხედავთ, კომიტეტი აშკარად უსაყვედურებს მოსწავლეთ საერთო მოძრაობაში მონაწილეობის მიღებას—ასეთი იდეალური წესია ჩვენ სკოლაში, ყველა ამ წესს ნატრობს და ჩვენი მოსწავლენი კი „ბუნტობენ“-ო. კომიტეტი, ალბად, თავის გულუბრყვილობით დარწმუნებულია, რომ შეურყევლად დაამტკიცა მოსწავლეთა ქცევის სრული უსაფუძვლობა; იმას კი ვერ გრძნობს, რომ გოგოლის უნტერაფიცრის ცოლისა არ იყოს, თავის თავი თვითონვე გაიროზგა ამ უცნაურის ქართულით.

დიახ, ჩვენი სკოლა კერძო სკოლაა, საზოგადოება ინახავს თავის ხარჯით, კომიტეტის საშუალებით განაგებს სკოლის „სწავლისა და საოჯახო ნაწილის“, მაგრამ კომიტეტის ამ გამგებლობამ ისეთი მდგომარეობა შეუქნია სკოლაში, რომ მოსწავლენი იძულებული არიან „იბუნტონ“, რაა, იქნება ეხლა მაინც მიაქციოს საზოგადოებამ ყურადღება ჩვენს აუტანელ მდგომარეობასო.

გამგებლობის ასეთი ნიჭი გამოიჩინა კომიტეტმა სასკოლო საქმეში და რაც დასთესა, ის მოიმკო.

W

—

P. S. საზოგადო კრების საყურადღებოდ: გასულ სექტემბრიდან დაწყებული სკოლის ეკონომსა და მასწავლებლებ შორის შეტაკება მოხდა. ბ-ნი დუმბაძე (სკოლის ეკონომი იყო მაშინ) სკოლის გამგეს, საქმის მწარმოებელსა და ზოგ მასწავლებელს მძიმე ბრალსა სდებდა, განსაკუთრებით სკოლის გამგესა (ე. თაყაიშვილს) და საქმის მწარმოებელს (დ. ეპიტაშვილს). საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამ ბრალდების გამო: ქართული „პანამა“ აღმოჩნდაო, გაიძახოდნენ. დღემდე საზოგადოებამ არა იცის რა; საჭიროა ეს საქმე გამოაშკარავდეს, უნდა ვიცოდეთ, თუ რა ვიფიქროთ.

W.

---

*) მოგვყავს საილუსტრაციოდ სკრის მამულის ხარჯების სია:

ჯამაგირი მოურავს და მოსამსახურეთ	1,868 მ. 30 კ.
მათი სმა-ჭამის ხარჯი	183 ,, 50 ,,
მოურავისა და მოსამსახურეთა მისვლა-მოსვლა სამსახურის გამო .	197 ,, 04 ,,
შემწეობა ავადმყოფ მოურავს . .	211 ,, 04 ,,
მოურავის წამლობა	414 ,, 00 ,,

სოფლად

—

რაჭა. რაჭა ახმაურდა. აქაც ისა ხდება, რაც საქართველოს სხვა კუთხეებში. თუმცა წარსული წელი ღარიბი იყო პურითა და სიმინდით. [illegible] ხალხი შემოდგომიდანვე დაიძრა და სარჩოს იმერეთიდან თავის ზურგით ეზიდებოდა, თუმცა გარედ გასული მუშა ხალხი ამ ზამთრობითვე დაბრუნდა შინ და ამით გარედან შემოსავალი შეუმცირდა ისედაც დამშეულს და გაღატაკებულს გლეხობას,—მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა ხალხი ჯანს არ იტეხს, გული ძაგრადა აქვს იმ რაღაც იმედით, რომელიც იმის გარშემო ტრიალებს, რომლითაც მარტო გაზეთები კი არა, ჰაერიც გაჟღენთილია...

დიაღ, ბევრი მუშა ხალხი დაბრუნდა რაჭას წელს. დაბრუნდნენ ბათუმის ზავოდის მუშები, დაბრუნდნენ ტფილისის ფაბრიკების და რკინის გზის მუშები, ამას დაუმატეთ მეპურეები, დურგლები, მზარეულები, მეკურტნეები, მეეტლეები და სხვა მოხელეები და ხელოსნები. ამ დაბრუნებულთაგან უმეტესი ნაწილი ახალგაზდობაა. აი ამათი გული ვერ ეტევა ვიწრო ფარგალში, ვერ სჯერდება მარტო ვიწრო ოჯახურს ჯაფას. ამათ, როგორც გარედ ყოფნის დროს უვარჯიშნიათ წერა-კითხვასა და გაზეთების კითხვაში, ისე აქ ხშირად გადიან ეკლესიაზე, ან სასოფლო სასამართლოს ეზოში და აქვთ ერთმანეთში ბაასი, მუსაიფი ახლანდელ დაბეჩავებულ და გათახსირებულს დროს შესახებ. სხვათა შორის, ხშირად გაიხსენებენ ხოლმე იმ დროს, როდესაც აქაურ მთიულ ხალხს მთები თავის საკუთრებად ჰქონდა, აკეთებდა შენობებს, ხდიდა ყავარს და ამას ყველას დიდს ფასში ჰყიდდა. დღეს ძალზე დაიჩაგრა ხალხი. მთაში შესვლა სრულიად აკრძალულია. გასასყიდად კი არა, თავისთვისაც ვეღარა სჭრის ხეს, ვეღარა ხდის ყავარს. ამბობენ იმასაც, რომ წინად საბალახოები ფართო და ლაღე ჰქონდათ, შეეძლოთ ძროხისა და თხა-ცხვრის ჯოგები ეძოვებინათ შიგ და შემდეგ კაი ფასში გაეყიდათ სახორცედ, მატყლიცა და ერბოყველიც ჰქონდათ. დღე-კი აეკრძალა საბალახეც, მთებში თავისუფლად ნადირობაც; წყალში კალმახის ჭერაც, რადგან გემრიელ ნადირის ხორცი და მსუქანი კალმახი ტყის გამგისთვის იზოგებაო. მთაში რომ მაყვალია (მალინა), ისიც კი ვერ დაუკრებიათ მწყემსებს ყარაულების შიშით. თუ კი ვისმე უნდა ტყეში ინადიროს, მდინარეში ითევზაოს, ან ტყეში მაყვალი მოჰკრიბოს, ჯერ „პოლესოვჩიკებისაგან“ ნებართვა უნდა აიღოს, ისინი უნდა მოიქრთამოს, ისინი უნდა მოიმადლიეროს. მაგრამ იცით, ბატონებო, რა ფასათ უჯდებათ მათი მომადლიერება? რაჭაში „პოლესოვჩიკი“ ბევრია, ათობითა და ოცობითაა. აბა წარმოიდგინეთ, ამდენ ბატონის შენახვა და მათი პატივისცემა! უმათოდ ვინ გაბედავს ქორწილს, ან ნათვლას, ან სხვა რამე ლხინს.

აქვთ ბაასი ამ ახალგაზდებს იმაზედაც, თუ ვის ან სად მიმართონ, რომ მათაც შეეძლოთ ცხოვრება. უმთავრესი უმიწობაა. მიწა მოცვდა და თან ხალხიც გამრავლდა. მახლობლად სახელმწიფოდ ჩარიცხული ტყე ბევრია, საბალახოც კარგია, ბევრგან საეკლესიო მიწებიც არის; მაგრამ ბეჩავ ხალხს ყურადღებას არავინ აქცევს.

ხალხი ერთხმად გაიძახის, აღარ შეგვიძლია მოთმენა ამდენ გასაჭირისა; კმარა, რაც ყოველმა მოხელემ გვთალა უმოწყალოდ; აწ აღარ შეგვიძლიან მღვდელს დრამა ვაძლიო- [illegible] არც სკოლა გვინდა ისეთი, როგორიც დღემდე გვქონდა: ოთხი-ხუთი წელიწადი სკოლაში სწავლობდნენ ჩვენი შვილები, ახლა სალდათად არიან და ბარათის მოწერა არ შეუძლიანთ, არც ქართულად და არც რუსულადო. ჩვენს მიყრუებულს მაზრაში გამოიღვიძა ხალხმა, გაჩნდა ესრედ წოდებული „ახალი თაობა“ (ასე უწოდებენ ჯელ-ჯელ ბიჭებს, ქარხნებსა და ფაბრიკებიდან დაბრუნებულთ). მათ შეაერთეს სოფლელნი, შემოიღეს წესი და რიგი, ამოირჩიეს საუკეთესო კაცები საქმეების გასარჩევად, გზაში ხალხის გასაწვევად და სხვა საქმეების გასაკეთებლად. ამგვარად ამ ახალმა თაობამ დაიარსა თავისი სამსჯულო, თავისი მუშები ჰყავს, გადიან ყველახი გზაში და გაჰყავთ მშვენიერი ფართო გზები. შეიგნეს, რომ გზაა უპირველესად საჭირო. უწინ ხალხი ბოქაულს და მამასახლის მისჩერებოდა, თუ მათი ბრძანება იქნებოდა, შეიძლება სადმე თოხი დაეკრათ გზებისათვის და ან ხიდი შეეკეთებინათ. დღეს ხალხი აღარავის არ უყურებს. თავისით გზებს იკეთებს, საქმეებს მეზობლურად სწყვეტს. მებატონეებთან, ვისაც-კი თავი დაუხსნელი აქვს, პირობასა სდებს, რომ ნადელს სანადელო მიწაში ვეღარ მოგცემთ და ჩამოჭრილი-კი შენია და იჯარით დავიმუშავებთო.

რაჭის მუშა ხალხი ამ ჟამად დიდს სიხარულშია, რადგან ქუთაისიდან უკვე იწყება „როკალ ის“ რკინის გზა. უხარიან ერთი ის, რომ სამუშაოს იშოვის და სულს მოიბრუნებს და მეორეც—ეს გზა რომ ლეჩხუმამდის გავა,—შემდეგ ამ გზის შტო ონში უნდა წავიდეს და ახლო მომავალში რაჭას რკინის გზა მოევლინება... სწორედ რომ გასახარელია! შარაზედ ხიდებს კაი ხანია თქვენი ჭირი წაიღო; კრიხულაზედაც დიდი ხნის მიცვალებულია ხიდი, ბუგეული რიონზედ სანათხოვრო ხიდი გააკეთეს და [illegible]შინწინ რიონმა ისიც მოიტაცა. გაზაფხულზედ, მოგეხსენებათ, აქ მთებიდან დიდი წყალი ჩამოდის რიონისაკენ. ხიდების ჭანება აღარაა. არის ერთი უბედურება, ფონის ძებნა წყალში, ზოგგან იხჩობიან, ზოგან სამადლოდ მცურავები იპატიებიან. შარ[illegible] წელს დაიხრჩო ერთი მგზავრი უხიდობისაგამო. ამბრალაურში—სადაც აფთიაქი, საავადმყოფოც, სამსაჯულოც და პოლიციის მოხელეც სცხოვრობს, გვერდით ჩამოუდის პატარა მდინარე—„კრიხულა“. მაგრამ გაზაფხულზედ პატარა მდინარე ღელეზე აქაფდება და განრისხდება ხოლმე.

აი, ეს მდინარე ყოველ ადიდების დროს ზარალს აყენებს მიმავალ მგზავრებს ნაქერალიდან ონისაკენ, ქვემო რაჭიდან ამბრალაურში ან ზემო რაჭაში მიმავალ ხალხს და არის ერთი უბედურება: ბევრჯერ წაუღებს ხოლმე წყალი ურმებს, ცხენებს, ცხენოსნებიანად, ხან სულ იღუპებიან. ერთმა [illegible]—თარიმან ხიდურელმა რამდენიმე კაცი გადაარჩინა დახრჩობას.

ყოველსავე ამას ხედავს თვითვალით ამბრალაურის ადმინისტრაცია, და ინუნშიაც არ არის. აბა რისთვის შეწუხონ თავი. ჯამაგირი ოცს უსათუოდ მი[illegible], ისინი სხვა მუშაობას უფრო ელტვიან. სხვა გვარად სცდილობენ აამონ უფროსებს, და დაბალ ხალხისა არა სცხელოთ.

ყოველ საზოგადოებაში ჰქონდა მაღაზია, სადაც ინახავდნენ სიმინდს და პურს, რომ შიმშილობის დროს ს[illegible]მოეტანათ და ხელი მოეწყოთ. მატ[illegible] ამ მაღაზიებში ყოველ წელს ი[illegible]მინდმა და ბოლოს შეშინებულმა გლეხმა გაჰყიდეს რაც თავებს გადარჩათ, და ეს ფული ხაზინაში მიაბარეს შესანახად. იმ დროიდან ყოველ მოსახლეზე ჰკრეფენ წელიწადში ორ აბაზს და აბარებდნენ [illegible] ხაზინაში შესანახად. ისეთი შიმშილობა, როგორც წელსაა, ბევრი არ გამოუვლიათ რაჭველებს. ამიტომ მიუმართნენ მთავრობისათვის, გვიჭირს და იმ ფულიდან გვასესხეთ, რომ სარჩო ვიყიდოთო. [illegible] ვინ იყო ყურის დამგდები. ის ფული ხაზინაშია და იქიდან-კი ეგრე ადვილად [illegible] შეიძლება გამოტანა. წელს, როდესაც მეტად გვჭირდა

ფელეტონი

—

პატარა ამბები

ერთი ზღაპარი.—ისევ ძველი წესები.—ახალი მოვალეობა სამღვდელოებისა.—ბიუროკრატია, მისი პოლიცია და მისი გაზეთები.

ერთს ქალაქში დიდი ხანია მოელოდნენ დიდებულ, ბრძენის და ძლიერი ღმერთის მოსვლას. მაგრამ ღმერთი იგვიანებდა, არ მოდიოდა, და ბევრს სრულიად დაეკარგა მისი მოსვლის იმედი, ზოგიერთებმა დაივიწყეს და სხვა ღმერთი იწამეს, ზოგიერთებმა კიდევ საყვედურები დაიწყეს:

— ვინ იცის მართლა მოვა, თუ არა ის ჩვენი ღმერთი. შეიძლება ჩვენი ქვეყნის ჰავას არ შეეფერება იგი? ან არსებობს კი ნამდვილად ის ღმერთი? ჩვენ ასე ველოდებით და ის კი შეიძლება ზღაპარია, მეტი არაფერი.

იწყინა ეს ღმერთმა, როგორ თუ ზღაპრად მთვლიანო და გამოეცხადა ის ქალაქში თავის უმთავრეს ქურუმს.

— ეი, ქურუმო, ძალიან სისულელეს სჩადის შენი მრევლი. თქვენივე ბრალია, რომ თქვენთან არ მოვდივარ. როგორ უნდა მოვიდე თქვენთან, რომ არც ერთი თქვენგანი არ მეპატიჟება! დაუპატიჟებელი როგორ მივალ ვისმესთან!

— ბატონო ღმერთო, როგორ გეკადრებათ! როგორ არ გეპატიჟებით, როგორ არ გაწვევთ? მთელი ქალაქი სულ თქვენზე არ ფიქრობს ახლა? მობრძანდით, მობრძანდით, ძვირფასო სტუმარო!

— საკვირველია თქვენი საქმე. მესმის, მელაპარაკებით, მაგრამ სახელს კი არ მეძახით. ან რაღაც „უცნობს“ მეძახით, ხან „იმას“, „სასურველს“ და სხვა და სხვას, მაგრამ [illegible]ელი ჩემი სახელი-კი არ მესმის და არა.

— ბატონო ღმერთო! დაიყვირა ქურუმმა: აქ მხოლოდ ერთი გაუგებრობაა. როგორ ვერ მიხვდით, რომ „უცნობი“, „ის“, „სასურველი“—ყველა ეს თქვენა ბრძანდებით და სხვა არავინ. ამდენი ხანია გიწვევთ და მობრძანდით, გაგვაბედნიერეთ.

ღმერთმა თავი გააქნია.—არა, ძმაო. ჩვენ ღმერთებს პირდაპირი საქმე გვიყვარს. მიხვეულ-მოხვეული ლაპარაკის არაფერი გაგვეგება. თუ ვისმე უნდა, ღმერთი მივიდეს მასთან, პირდაპირ ხმა მაღლა და საჯაროდ უნდა მოუწოდოს, სახელები ხომ ტყუილად არ გვქვია! შენ ხომ იცი ჩემი სახელი?

— ვიცი... როგორ არ ვიცი...—მაშ თუ იცი, რატომ პირდაპირ სახელით არ მომიწვევ და რატომ ფსევდონიმებით მომმართავ?—ბატონო ღმერთო! შეწუხებულად უპასუხა ქურუმმა: მე განა მიყვარს ფსევდონიმები? მაგრამ რას იზამ, გაიხედავ წინ, დარაჯი დგას, გაიხედავ უკან,—დარაჯია, გაიხედავ მარცხნივ და მარჯვნივ, და ყველგან დარაჯებია; ამათ ხომ თქვენი სახელი ჭირივით ეზარებათ. ერთხელ რომ ხმა მაღლა ვახსენო თქვენი სახელი, მაშინვე დამღუპავენ.

ღმერთმა გაიცინა.—შენ იცი, შენი საქმეა. ხოლო ესეც კი იცოდე, რომ ფსევდონიმებზე არასოდეს პასუხს არ მოგცემ.

თქვა და წავიდა, გაფრინდა ღმერთი. მეორე დღეს ქურუმმა შეჰკრიბა თავისი ამხანაგები, მოინდომა ყველაფერი გაემჟღავნებია მათთვის, გადაეცა ღმერთის საყვედური. გააღო პირი და ის იყო უნდა გაებედა და ეხსენებია ღმერთის სახელი, მაგრამ ამ დროს ფანჯარიდან დაინახა შეიარაღებული დარაჯი, შეკრთა, ხველა დაიწყო და უცბად შესცვალა, რაც სათქმელი ჰქონდა. „დიახ, ამხანაგებო, მე იმას მოგახსენებთ, რომ გიხილე... ის... პატივცემული... საყვარელი... ძვირფასი... არსება... რომელიც ყველამ კარგად იცით... და მითხრა: მანამ არ გეწვევით, სანამ ხმამაღლა საჯაროდ არ ახსენებთ ჩემს სახელსო.

ქურუმებმა ერთმანეთს გადახედეს, თვალწინ დარაჯები უდგათ. ჩაახველეს და დიდხანს გაჩუმებულნი იყვნენ. ბოლოს წამოდგა ერთი მათგანი, მიიდვა თითი შუბლზე და გაბედულად გამოაცხადა: მართალია, მე იმდენად გამბედავი ადამიანი არა ვარ, რომ თვითონ წარმოვსთქვა ღმერთის სახელი, მაგრამ გავალ მოედანზე და ვეცდები, ვისმე წარმოვათქმევინო მისი სახელი.

გამოვიდა გარედ გულადი ქურუმი და ხმა მაღლა დაიყვირა: ხალხო და ჯამაათო! აბა ვინ ხარ გონიერი და ყოჩაღი, და გამოიცნობ: რომელი სიტყვა იწყება ამ ასოებით, და წარმოსთქვა სამი პირველი ასო ღმერთის სახელისა.

ბევრმა გამვლელ-გამომვლელმა გასცა პასუხი. მაგრამ ზოგმა რა სთქვა და ზოგმა-რა, ხოლო არც ერთმა-კი არ ახსენა ღმერთის სახელი. ქურუმმა ერთი ასო კიდევ მიუმატა ნათქვამს, მერე კიდევ მეორე, მაგრამ მაინც არავინ დაასახელა ღმერთი.

დაბრუნდა სახლში დაღონებული ქურუმი და უამბო ყველაფერი ამხანაგებს. დაღონდნენ მისი ამხანაგებიც, მოინდომეს ხელახლა გამბედაობის გამოჩენა, მაგრამ ხელახლა დაინახეს დარაჯები და ჩაახველეს. მაშინ გამოჩნდა კიდევ მეორე გულადი ქურუმი და გამოაცხადა: მე გიხსნით ჩემს ქალაქს, ხმა მაღლა მოვუწოდებ „ღმერთს და იგიც გვეწვევა.

წავიდა, იყიდა რკინის გზის ბილეთი და გაემგზავრა უცხოეთში. როდესაც მიუახლოვდა საზღვარს, დაიწყო ხმამაღლა ყვირილი ღმერთის სახელის პირველი ასოებისა, და როგორც კი გადასცილდა საზღვარს, კიდევ უფრო მაღლა დაიყვირა უკანასკნელი ასოები.

ღმერთი მაშინვე გაჩნდა მასთან და ღიმილით უთხრა: გამარჯობა, ძალიან სასიამოვნოა შენი ნახვა. მაგრამ აგრე ხმამაღლა რად მეძახოდი: აქ მე ხომ ყველგან ვარ და არც ყურს მაკლია.—შერცხვა ქურუმს: მე... მე... გიწვევდი... ჩვენთან მოსულიყავი.

ღმერთმა გადიხარხარა.—საბრალო! მერე ამ უცხოეთში მეპატიჟები? აქ ხომ უთქვენოდაც ვარ! იქ-კი, იქ თქვენს ქვეყანაში ვერ ბედავ მომიწვიო?..

გაშრა ქურუმი, სათქმელი არაფერი ჰქონდა.

ამ ორი დამარცხების შემდეგ ქურუმებს სრულიად დაეკარგათ ღმერთის ნახვის იმედი. ვერავინ ბედავდა ღმერთის დასახელებას. მთელი ქალაქი შეწუხებული იყო. ყველას სული ეხუთებოდა, იხრჩობოდა, სამართალი და კანონი მოისპო, ბოროტება და ძალმომრეობა გახშირდა. ადამიანები ღმერთს ივიწყებდნენ და უფრო და უფრო დაბლა ეცემოდნენ, ირყვნებოდნენ, ჰკარგავდნენ ადამიანის სახეს და პირუტყვებს ემსგავსებოდნენ.

ამ ქალაქში სცხოვრობდა ორი ძმა, ორივე ხალხის შვილი იყო. ერთს ერქვა სესია, მეორეს ნიკო. ერთი მიწის მუშა იყო, მეორე ქარხანაში მუშაობდა. ხედავდნენ ქვეყნის გაჭირებას სესია და ნიკო და მწარედ დაღონებული იყვნენ. ერთხელ ნიკომ დაუძახა თავის ძმას და უთხრა: ძმაო სესია! ხომ ხედავ, ქვეყანა იღუპება და არავინ-კი არ არის, რომ ახსენოს ღმერთი, მოიწვიოს ღმერთი. მე და შენ დასაკარგავი არაფერი გვაქვს, გავბედოთ; თუ დავიღუპებით, დავიღუპებით, მაგრამ თუ გავიმარჯვეთ... მოდი ვახსენოთ ღმერთის სახელი.

— ვახსენოთ, ძმაო! უპასუხა სესიამ და გაუწოდა ძმას ხელი. ორივენი გამოვიდნენ მოედანზე და გაბედულად, ხმამაღლად, საჯაროდ მოუწოდეს ღმერთს, წარმოსთქვეს ღმერთის სახელი... და ღმერთიც იმ წამსვე გაჩნდა იქ, ბრწყინვალე და გახარებული“.

* *

ასეთია ერთი ქვეყნის ზღაპარი და ვინც ამ ზღაპრის აზრს გამოიცნობს და ღმერთის სახელს დაასახელებს, დიდ ჯილდოს მიიღებს; მე ვპირდები თავისუფლებას. ეს ზღაპარი შესავალი იყოს და ახლა კი დავიწყოთ ჩვენი ჩვეულებრივი პატარა ამბები.

ჩვენში ყველგან ისევ ძველი წესია: სამეგრელოს სოფლებში გლეხებს ეგზეკუციები ჩაუყენეს და მძიმე უღლად აწვა ეს ეგზეკუცია. გლეხებს აფიცებს „ერთობის“ წინააღმდეგ და არჩევინებს პოლიციის ერთგულ „ათისთავებს“ და „ასისთავებს“.

ქართლის თავად-აზნაურობამ განსაკუთრებული, თავისი თავადაზნაურული მილიცია შეადგინა არსებული წეს-რიგის დასაცველად, სამეგრელოს თავად-აზნაურობამ უფრო ადვილად და მარტივად გადასწყვიტა საქმე და პირდაპირ შევიდა უკვე არსებულ სადარაჯო მილიციაში.

ბათუმში ამ ბოლოდროს თითქმის ყოველ დღე იჭერენ გაფიცულ ნოქრებს და სასტუმროების მოსამსახურეებს. 5 ივნისს ბულვარში დაიჭირეს 13 კაცი, [illegible] კიდევ სხვა და სხვა ადგილას—[illegible] და ყველას ხელწერილი ჩამოართვეს, [illegible] საათში ან შეუდგეთ სამსახურს ან ბათუმიდან გადითო.

ქართლში, როგორც სხვაგან, ხალხმა უარ-ჰყო პოლიცია, და უქმოდ დარჩენილმა, საქმის მოყვარე პოლიციამ საქმე გააჩინა, დადის სოფელ-სოფელ [illegible]-დარაჯით და ატუსაღებს მათ გლეხებს და [illegible]ებს. პოლიცია უკანასკნელებს ყველაზე უფრო იმას აბრალებს, რომ რად უქადაგება ხალხს პოლიცია არ გვინდა, პოლიცია არ [illegible] საჭირო!—პოლიციას ეს ხეთქავს გულზე: როგორ მე თუ არა ვარ საჭირო ამ დედამიწზე, მაშ ვინ რაღას მაქნისია, რა მოხელეა, რას [illegible]ებსო? ჩვენ რომ არ ვიყოთ, ეს ქვეყანა (ე. ი. დღევანდელი წესწყობილება) ხომ ერთ დღეს დაიქცევაო...

საქმე, მუქარით მოითხოვეს, ჩვენი ფული დაგვიბრუნეთ, ან გვასესხეთო. ახლა მამასახლისმა შეკრიბა ხალხი და გამოუცხადა, თქვენი ფული გამოსულა და კაცები ამოარჩიეთ, რაც მიიღოთ ონის ხაზინიდანაო.

ს. დთეუშიძე.

ახალი ამბავი

✦ 16 ივნისს, ნაშუადღევის ორ საათზე, დიდუბეში იქ, სადაც დოლი იმართება, ადმინისტრაციის ნებართვით და ყაზახ-რუსების და პოლიციელების დაცვით მოხდა ეგრედ წოდებულ **პატრიოტულ პარტიის** მუშათა ყრილობა. როგორც „ნ. ო.“ გადმოგვცემს, პარტიას უნდა გადაეწყვიტა, რა იღონოს თავის პარტიის წევრთა დასაცველად და აგრეთვე სხვა საკითხების გადასაწყვეტად. სხვათა შორის, შეკრებილთ გადასწყვიტეს, სისრულეში მოიყვანონ თავიანთი მუქარა, ესე იგი გასცენ მოწინააღმდეგე პარტიის მოთავენი. ეს გადაწყვეტილება მაშინვე მოიყვანეს სისრულეში.

✦ „კავკაზი“ სწერს: „17 ივნისს ღამე მეათე საპოლიციო უბანში **პოლიციამ შეიპყრო** 20 კაცი, რომელთაც აღმოაჩნდათ ხანჯლები, რევოლვერები და პატრონები. ტფილისის გუბერნატორის დადგენილების თანახმად, შეპყრობილნი მეტეხის ციხეში ჩასვეს“.

✦ როგორც იგივე გაზეთი გადმოგვცემს, რკინის გზის სახელოსნოს მუშებს ვოკზლის ქუჩაზე **შეუპყრიათ სამი კაცი**, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს, რომ ისინი უნდა იყვნენ ი. რაკის და სეჩენოვის მკვლელები. ამ სამ კაცისთვის ძალზე უცემიათ.

✦ რუსულ გაზეთებში ახალ ამბად დაბეჭდილია, რომ **პატრიოტულ პარტიის წევრებმა** ძალზე სცემეს რკინის გზის სახელოსნოების სამ მუშას. ამ მუშებს აბრალებდნენ თურმე რაკისა და სეჩინოვის მოკვლას. როგორც გამოირკვა, საქმე ასე მოხდა: სადგურის ქუჩაზედ მიდიოდა ბაქოდან ჩამოსული კიევის გუბერნიის მცხოვრები ვლადიმერ კოლტიპინი. პარტიის წევრებს ხელი წაუვლიათ და უთქვამთ, პოლიციაში წამოგვყევითო. იგი არ დაყაბულებულა და ტრამვაის მიმავალ ვაგონში შევარდნილა, მაგრამ ჩამოუთრევიათ და უცემიათ. ეს კაცი ამ ჟამად მიხეილის სამკურნალოში წევს. ექიმებმა უკვე მოიყვანეს იგი გრძნობაზე. კოლტიპინს თავი გატეხილი აქვს. დაჭრილია ტყვიით სამგან. იქვე სამკურნალოს მე-10 ოთახში, საქირურგო განყოფილებაში, წევს ისევე ძალზე ნაცემი მოქალაქე აბრამ მიქაძე. მიქაძემ განაცხადა მისუსტებულის ხმით: მე აგენტი ვარ საკერავ მანქანების ამხანაგობის ზინგერისა. 16 ივნისს დილით ამხანაგობის მიერ გამოგზავნილი კონტროლი საკანდელიძე მოვიდა ჩემს დავთრების შესამოწმებლად. სადგურის ქუჩაზედ ქალანთაროვის სარდაფიდან ამოვედით მე და კონტროლერი. ამ დროს ვიღაც ხალხი მოდიოდა. ერთმა წამოიძახა: „აი ამ ვაჟბატონსაც უნდა ვცემოთო“ მომცვივდნენ, დამაგდეს მიწაზე და აი ხომ ხედავთ, რა მიყვესო. მიქაძეს რამდენგან თავი აქვს გატეხილი, თავპირი და ტანი დასივებულ-დაბეგვილი აქვს, კონტროლერიც ნაცემია.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **მთავარ სახელოსნოების მუშების** უმრავლესობამ გუშინ დეპუტაცია გაუგზავნა გზის უფროსს და აცნობა, პატრიოტულ პარტიის მოქმედებამ ისეთ გაჭირვებაში ჩაგვაგდო, რომ მუშაობა და ცხოვრება აუტანელი გახდა ჩვენთვის. ჩვენი რა ბრალია, თუ ამ პარტიის რომელსამე წევრს ქუჩაში ვიღაც კაცები ჰკლავენ, დაიჭირონ მკვლელნი და დააპატიმრონო.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი** და არქიმანდრიტი ნიკანდრი ტფილისიდან პეტერბურგს უნდა წასულიყვნენ გუშინ-წინ საღამოთი, მაგრამ წავიდნენ გუშინ, დილის მეშვიდე საათზე.

✦ დღეს, 19 ივნისისთვის დანიშნულია **ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა საზოგადო კრება**. კრებამ უნდა განიხილოს ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა ქონებრივი მდგომარეობა და პრესის ვითარება კავკასიაში. კრება მოხდება ქალაქის საბჭოს დარბაზში და დაიწყება დილის 11 საათზე.

✦ მოვაგონებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს, 19 ივნისს, გაიმართება **სახალხო სეირნობა და ბაზრობა** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. სეირნობა გაიმართება „ბელვიუს“ ბაღში, ვერის დაღმართთან. როგორც გადმოგვცეს, ბაღი კარგად იქნება თურმე მორთული.

✦ **სოხუმი.** აქაურ საპყრობილეში მყოფი პატიმარნი გაიფიცნენ იმით, რომ აღარაფერსა სჭამენ. გაფიცვა დაიწყო 16 ივნისიდან. სხვათა შორის, მოითხოვეს პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლება. ორი 16-სავე გაანთავისუფლეს. მოსალოდნელია საზოგადო გაფიცვა.

✦ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან ქალაქის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა, **მეეზოვენი განთავისუფლებულ იქნან** საპოლიციო მოვალეობისაგან. გუბერნატორმა ამ საქმის შესახებ ტფილისის პოლიცმეისტერს თავისი აზრი მოსთხოვა.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს იმ მცირე კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა საქალაქო **დებულების გადათვალიერება**, უკვე დაამთავრა საქმე. კომისიამ საჭიროდ სცნო: 1. გაფართოვდეს საარჩევნო უფლება; 2. სრული დამოუკიდებლობა ქალაქის თვითმმართველობისა საშინაო საქმეებში; 3. შეიცვალოს სისტემა გარდასახადებისა და დაწესდეს გადასახადი შემოსავლის კვალობაზე; 4. ქალაქი განთავისუფლდეს ყოველ ბეგრისა და გარდასახადისაგან სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად.

✦ ორშაბათს, 20 ივნისს, ტფილისის ქალაქის საბჭო განიხილავს, სხვათა შორის, **ნაძალადეველთა შუამდგომლობას** საიჯარო მიწების შესყიდვის შესახებ.

✦ 15 ივნისს, ტფილისში გარდაიცვალა საპატიო მოქალაქე სოლომონ ალექსანდრეს-ძე ბაბანასოვი. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ბაბანასოვს 80 ათას მანეთიანი **სახლი დაუტოვებია ვაჟის მეორე გიმნაზიისთვის**. ამ სახლის შემოსავლით უნდა ასწავლონ უღარიბეს სომეხ მოსწავლეებს.

✦ **სრულიად სომეხთა კათალიკოზი** ამ ცოტა ხანში ტფილისს ჩამოვა. კათალიკოზი უკვე გამომგზავრებულა ეჩმიაძინიდან.

✦ კავ. ნამესტნიკის ნებართვით, სიღნაღის მაზრის სოფ. სგეჩინოს (ამ სოფელში გადმოსახლებული რუსები სცხოვრობენ) ხუთ კომლს შემწეობა მიეცემა ხაზინიდან. თითო კომლი ასას მანეთს მიიღებს.

✦ 16 ივნისს ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა შემდეგი საქმე. თელავის მაზრის ს. ახტლეში პოლიციის დარაჯი ურიადნიკს ზოურბეკ კონოხილოვს, 28 ნოემბერს სოფელში ღამის დარაჯები არ დახვედრიან. სოფლის ურიადნიკს შეხვედრიან დარაჯები იაგორ ბერუდაშვილი და რომანოზ მრელაშვილი და შელაპარაკებულან, რომლის დროსაც ურიადნიკს შემოურტყამს სილა ყბაში ბერუდაშვილისათვის, რომელიც გაქცეულა და დამალულა. ურიადნიკს ხელში ჩაუგდია მრელაშვილი და რაც ძალი და ღონე ჰქონია, დაუწყია ცემა. წაუქცევია და შემდგარა ზედ. მიწაზედვე წაქცეულს მრელაშვილს უძგრია ხანჯალი და სამჯერ ისე ძლიერ დაუჭრია ურიადნიკი, რომ იგი რამდენისამე დღის შემდეგ მომკვდარა. მრელაშვილი პასუხის გებაში მიეცათ. სასამართლოში თავი დამნაშავედ არ აღიარა და უთქვამს: იძულებული ვიყავი ურიადნიკისგან დამეცვა თავიო. ოლქის სასამართლომ მრელაშვილი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3 წლით გაგზავნა. პალატამ მრელაშვილი გაამართლა.

✦ მოგვივიდა ახალი წიგნი „გაზრდის თავისუფლება“ კ. მ—სი. გამოცემა კილაძისა და თავართქილაძის წიგნის მაღაზიისა ბათუმში № 3 ფ. ორი შაური.

✦ ლოტკის გორაზედ წყალობა სოლოღაშვილს ამ თვეში, ნიაღვრების დროს, ქუჩიდან სარდაფში წყალი შეუვარდა და გამოანგრია კედელი. ამას მოჰყვა ორსართულიან ოთხ ოთახის შენობის დანგრევა. შიგ მცხოვრებთ გამოასწრეს, ხოლო ბარგი ნანგრევებში მოჰყვა. ზარალი სამას თუმნამდეა.

✦ ჩვენ გთხოვენ ქველმოქმედთა ყურადღება მივაქციოთ ღარიბ ქალის სალომე მჭედლიშვილის მდგომარეობას. ს. მჭედლიშვილი დუშეთში სცხოვრობს, მოხუცი ადამიანია, არა გააჩნია-რა და შესანახი-კი მცირე წლოვანი შვილის-შვილი ჰყავს.

✦ 17 ივნისს ვიღაცას გაბაშვილის ქუჩაზე სპარსეთის ქვეშევრდომის მუმულლას სახლი გამოუტეხია და გაუტანია ფულად და ნივთები 492 მან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

17 ივნისს, საღამოთი, თავმჯდომარემ თავ. დ. ჩოლოყაშვილმა კრებას აცნობა: ბანკის რწმუნებულის ბ-ნ მჭედლიშვილისაგან დეპეშა მივიღე, შუამდგომლობს, ბათუმის მსესხებლებს შეღავათი აღმოუჩინოთ სავალო გადასახადების შეტანის დროს. მჭედლიშვილი იწერება: ბათუმში მცხოვრებმა ბანკის მოვალეებმა მთხოვეს, როგორც რწმუნებულს, შუამდგომლობა აღვძრა სათავად-აზნაურო ბანკის კრების წინაშე, გადაიდოს ამა წლის პირველ ნახევრის გადასახადების შეტანის ვადა. ამ თხოვნას მსესხებელნი ასაბუთებენ ბათუმში ცხოვრების გაჭირვებულ მდგომარეობით. რადგან პირადად ვერ ჩამოვედი შუამდგომლობის აღსაძვრელად, დეპეშით ვამოწმებ, რომ მდგომარეობა მეტად გაჭირვებულია, ქარხნები დაიკეტა, და ამ ქარხნებთან დამოკიდებულ სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა მოქმედება შეჩერდა, ბათუმის ნავთ-სადგური არა მუშაობს და სხვა. ყოველმავე ამან სახლის პატრონნი გაჭირვებაში ჩააგდოო. თავმჯდომარემ განაცხადა, ამ შუამდგომლობის განხილვა გამგეობის კომპეტენციას შეადგენსო და, კრების თანხმობით, შუამდგომლობა გამგეობას გადაეცა.

შემდეგ კენჭი უნდა ეყარათ შემდეგ საკითხისათვის: ბანკის გამგეობას აქვს თუ არა უფლება დამფასებელ კომისიის მოქმედებას ფაქტიურად კონტროლი გაუწიოსო. გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ჭავჭავაძემ სთქვა: როგორც მითქვამს, კონტროლი დღესაც არის, ხოლო ისეთ კონტროლის გაწევა, როგორსაც რწმუნებულნი თხოულობენ, არც შეიძლება და არც ნება გვაქვს. ამ საქმეს დიდი სიფრთხილე უნდა და ნუ ავჩქარდებით. ჩემის აზრით, ბევრად უმჯობესი იქნება, კრედიტის საქმის კარგად მცოდნეთაგან შევადგინოთ კომისია და მას მივანდოთ საკითხიო. მ. ვ. მაჩაბელმა და სხვებმა განაცხადეს, საქმე საკმაოდ გამოირკვა და სპეციალისტები საჭირონი არ არიანო.

კრებამ ბოლოს კენჭი უყარა ორ რეზოლიუციას და მიიღო შემდეგი: „გაუქმდეს 1897 წ. 26 მაისის საზოგადო კრების დადგენილება იმ საკითხის შესახებ, რომელიც შეეხება გამგეობის უფლებას დამფასებელ კომისიის მოქმედების ფაქტიურ კონტროლის გაწევის საქმეში და ცნობილ იქნას, რომ, ბანკის წესდების მე-44, 46, 61, 68 და 73 მუხლების ძალით, გამგეობას სესხის გასაცემად საკითხის გადაწყვეტის დროს არამც თუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულიც არის ფაქტიურად შეამოწმოს ამა თუ იმ მამულის დაფასებითი აქტები. ის იყო კენჭის ყრას უნდა შესდგომოდნენ, რომ ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარემ თავ. პ. გრუზინსკიმ განაცხადა, გამგეობა კენჭის ყრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან მაგ საკითხის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. ხოლო თუ რეზოლიუციაში ჩაემატება სიტყვა „ფაქტიურად ადგილობრივ შეამოწმოს გამგეობამ“, მაშინ საგანი სადაოა და კენჭის ყრაში მონაწილეობას მიიღებსო. კრებამ 58 ხმით 16 ხმის წინააღმდეგ მიიღო მეორე წინადადება და კრება 18 ივნისისათვის გადაიდო.

სხდომა განახლდა დილის 11 საათზე. ლაპარაკი ისევ დარჩენილ მამულებზე ჩამოაგდეს. თავ. ვეზირიშვილი შეეხო განსაკუთრებულ კომისიის მოხსენებას და სთქვა, კომისიას არ დაუმსახურებია ის საყვედური, რომელიც აქ გამოითქვაო. თავ. აფხაზმა განაცხადა: გუშინწინ გამგეობის ერთს წევრზე ვსთქვი, ვწუხვარ, რომ არ შეგვიძლია იმის შესახებ ისე მოვიქცეთ, როგორც სასჯელთა დებულების მე-61 მუხლი გვიჩვენებს მეთქი. ამ ჩემმა ნათქვამმა მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დღევანდლამდე ველოდი, რომ ის, ვისაც ჩემი სიტყვები შეეხებოდა, თავს გაიმართლებდა საზოგადოების წინაშე, რადგან ეს არა სჩანს, ვთხოვ კრებას, კენჭის ყრით ნდობა ან უნდობლობა გამოეცხადოს იმ წევრსაც. ამ სიტყვების შემდეგ წამოდგა ბანკის დირექტორი ანტ. ნ. ფურცელაძე და თავის მართლება დაიწყო. სხვათა შორის სთქვა, რომ თავ. აბხაზის სიტყვები პირად მის დასამცირებლად იყო წარმოთქმული; მთელი ჩემი სიცოცხლე ქართველ საზოგადოებისათვის შემიწირავს და როგორ შემეძლო ჩამედინა ის, რასაც მაბრალებენ. გთხოვთ, კომისია აარჩიოთ და შეამოწმებინოთ ბაბაევის მამულის შესახებ ჩემი ნამოქმედარი და მაშინ შეგიძლიანთ გამამართლოთო. კრებაზე ჩოჩქოლი და ხმაურობა ასტყდა. ერთი მეორეს აღარ აცლიდა. შემდეგ თავმჯდომარემ 20 წუთით სხდომა შესწყვიტა.

სხდომის განახლების შემდეგ თავ. ჭავჭავაძემ პასუხი უგო კომისიის თავმჯდომარეს თავ. ვეზირიშვილს. მან სთქვა: კომისიას ათას მანეთამდე ხარჯად მიეცა, საშუალება ჰქონდა უფრო რიგიანი მოხსენება წარმოედგინა. იმან-კი კონტროლის საჭიროების მეტი ვერა აღმოაჩინა-რა. 700 მან. ამ კომისიის წევრებმა ერთმანეთში გაინაწილეს, ხოლო 50 მან. გზის ქირად მოიხმარეს. განა შეიძლებოდა ამ ნაირად კომისიას საფუძვლიანი რამე გაეკეთებინაო. ბევრმა თავ. ჭავჭავაძეს უსაყვედურეს ამ მხრით საქმეს არ უნდა შეხებოდაო; უმრავლესობამ კი სთქვა, კომისიამ უსათუოდ ანგარიში წარმოადგინოს, რაში დაუხარჯავს ფულიო. ალ. ი. ყანჩელმა განაცხადა, მე გავიგე, რომ ამ ფულიდან, როგორც კომისიის წევრს, 250 მან. მრგებია. მე უკვე განცხადება წარვუდგინე გამგეობის თავმჯდომარეს და უარი განვაცხადე ამ ფულის მიღებაზე, რადგან მე იმდენი არა გამიკეთებია რაო. ამაზე ზოგიერთებმა ყანჩელს უსაყვედურეს, განცხადება რატომ გამგეობის თავმჯდომარეს წარუდგინეთ და არა კომისიის თავმჯდომარესაო. კრებამ დაადგინა, კომისიამ კრებას ანგარიში წარუდგინოს 800 მან. დახარჯვისაო.

შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა ზედამხედველ კომიტეტის რეორგანიზაციის საკითხის შესახებ. კრებამ მიიღო თავ. ჭავჭავაძის წინადადება ამ საკითხის განხილვის [illegible] შესახებ და ეს საქმე სხვა დროსათვის გადასდო. ამასთან დაადგინა, ამოარჩიოს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს სასურველია თუ არა კომიტეტის რეორგანიზაცია და ან როგორ უნდა მოეწყოს ეს საქმე. კომისიის წევრთა არჩევანი და დანარჩენ საქმეების განხილვა გადაიდო საღამოსათვის.

დიდი რიხი და სუსტი ლონე

პასუხი ბ-ნ ი. ღულაძეს.

(დასასრული *)

„პირველი თეზისი, ჩვენის აზრით, სკოლის ყოფა-ცხოვრების არსებითად შეცვლას თხოულობს და ამ მხრივ კი დიდი მნიშვნელობა არ ექნება იმას, რომ ჩვენი სკოლა მარტო მექანიკურად იქნება მთავრობის გიმნაზიიდან გამოშორებული, როგორადაც ამის პროექტის ავტორნი ჰფიქრობენ. ამნაირად, ავტორნი პირველისავე თეზისით ეწინააღმდეგებიან მათ მიერვე გამოთქმულ აზრსა, რომლითაც ისინი ზოგიერთ არაძირითად ცვლილებათა ჰფიქრობენ სკოლაში“.

მშვენიერი ლოღიკაა. „ჩვენის აზრით... არსებითად შეცვლას თხოულობს, ამიტომ პროექტის ავტორნი პირველისავე თეზისით ეწინააღმდეგებიან და სხვა“. საქმეც ის არის, რომ თქვენი აზრი ჩვენი აზრი არ არის და, მაშასადამე, წინააღმდეგობაც არ გახლავთ. ჩვენ ძირითად ცვლილებად არა ვთვლით სკოლის მოსამზადებელ ხასიათის გაუქმებას, მაგრამ მიგვაჩნია სკოლისათვის საკეთილოდ, რადგან განთავისუფლდებით იმ სამარცხვინო როლისაგან, რომელიც ეხლა გვაიძულებს ბრმად მივდიოთ მთავრობის გიმნაზიების პროგრამას, მასალის და გაკვეთილების განაწილებას. მთავრობის გიმნაზიებთან დაშორება შეგვინახავს სკოლაში ნიჭიერ ბავშვებს, რომელნიც ეხლა შეძლებისამებრვე მირბიან მთავრობის გიმნაზიებში. პროექტს აზრად არა აქვს და არც შეუძლიან არსებულ პირობებში სრულიად განაშოროს სკოლა მთავრობის გიმნაზიებს: სკოლაში სწავლა დამთავრებული იმდენად იქნება მომზადებული, რომ ადვილად შესძლებს გიმნაზიაში მიიღოს მომწიფების ატესტატი, რადგან საზოგადო ჯამი ცოდნისა ბევრით არ დაშორდება გიმნაზიურსა.

ტყუილად ჰგონია ბ-ნ ღულაძეს, რომ სამი-ოთხი საგნის შეტანა სკოლის პროგრამაში „ძირეულად სცვლის ჩვენი სკოლის ახლანდელ ხასიათს“. ახალ საგანს არ შეუძლიან ძირეულად შესცვალოს ხასიათი სკოლისა. იგი დამოკიდებულია სხვა უფრო ღრმა პირობებისაგან, როგორიც არის მიზანი სკოლისა, მისი აგებულება და სხვა. მაშ აქაც შემცდარი ბრძანდებით, როდესაც გგონიათ, რომ ჩვენ ჩვენ თავსვე ვეწინააღმდეგებით. გადავიდეთ იმ საბუთებზე, რომელიც თქვენ მოგყავთ იმის დასამტკიცებლად, რომ შეუძლებელია სისრულეში მოვიყვანოთ ახალ საგნების შეტანა სკოლის პროგრამაში. თქვენ სასაცილოდ არა გყოფნით საგნების ფაკულტატიური სწავლება და დაცინვით ბძანებთ: „ჩვენს სკოლაში, ვფიქრობთ, ადგილი ექმნება ისეთ საკითხებსაც-კი, როგორიც, მაგალითად, მუშათა მოძრაობის ისტორია, პოლიტიკურ დაწესებულებათა ისტორია, ეროვნული საკითხები, გლეხთა მოძრაობის ისტორია“. დიაღ, ექმნება ადგილი და უნდა ჰქონდეს, თუ არა გნებავთ განაშოროთ სკოლა ცხოვრებას, თუ არ გნებავთ დახავსებულ ილოვაისკით გამოუჩერჩეტოთ თავი მოსწავლეებს, თუ არ გნებავთ ზიზღით შემოგაფურთხოს მოზარდმა თაობამ, როგორც წელს ჰქნა. ჩემთვის ეჭვს გარეშეა, რომ თქვენ ბავშვობად მიგაჩნიათ მოსწავლეების ინტერესი საჭირ-ბოროტო საკითხებისადმი, იმიტომ გიკვირთ ჩვენი წინადადება და „სრულ აბსურდად“ მიგაჩნიათ, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია ერთი რამ. თქვენ, გატაცებული მომღერალი ინდივიდუალურ სწავლა-აღზრდისა, რათ ბრძანდებით წინააღმდეგი. ხომ ფაკულტატიური საგნები იმათთვის იქმნება შემოღებული, ვინც მოისურვებს მათ შესწავლას. განა ინდივიდუალური ნიჭი უფრო კარგად ვითარდება

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2846.

ტფილისში გაძლიერდნენ ხულიგანები და ხმა-მაღლა დაუფარავად ემუქრებიან ადგილობრივ მცხოვრებლებს: თქვენ ასეთებო, თქვენ ისეთებო! ფუთ, რაც გითმინეთ. ახლა ჩვენ გიცით [illegible] და რაც შევიწროვება, დაცინვა, დაბეჩავება, სულის შეხუთვა, ჩაგვრა გვნახეთ თქვენგან, სამაგიეროს გადაგიხდითო! ვინც ადამიანებში გინდათ გვერიოთ, თქვენ მას აღებთ, სამართალს ქმნით, თავისუფლება ნდათ! როგორ არ გაიცინებს ღმერთი, რომ ვინც კი, ასეთ მაღალ საგნებს ეპოტინებითო.

თან და თან ხშირდება ხოცვა; უფლებას ეკარგება ძალა, საშინელება თავისდავდა საკუთარის ძალდობით. [illegible] ხასიათ, არეულ-დარეულობა, რომელიც ამოზრდილა ყოველის განსხდებისა.

ამას წინად პეტერბურგის გაზეთებში აწერილი იყო ის პოლემიკა, რომელიც გაიმართა რუსეთის ორს წარჩინებულ მოხელეთა შორის. მათგან ერთი წარმომადგენია უმაღლესი სასულიერო მთავრობისა, [illegible]. პირველი ამტკიცებდა, რომ [illegible] დაევალოს მღვდელს საპოლიციო-საჯაშუშო მოვალეობანი, რადგან აღარ არის, რომ იყოს [illegible] ეს საქმე და ვერც ვინ შეასრულებს ამ საქმეს მღვდელზე უკეთ; მღვდელს ერთი დიდი საშუალება — აღსარება, რომლის შემწეობით შეუძლია ყველაფერი გაიგოს ადამიანისაგან და გადასცეს [illegible]; მღვდელს [illegible] შეუძლია დღეს მთავრობის პოლიტიკას ემსახუროს და [illegible] ბიუროკრატია [illegible] სახელმწიფოს [illegible] შეუმცირდება ხაზინის მდგომარეობა გაუკეთესდებაო.

ეს აზრი სავსებით არ იქნა ჯერ მიღებული, რადგან თვითონ ბიუროკრატიასაც-კი ეუცხოვა იგი: მეტის-მეტად აშკარად დაგმობა ყოველივე ზნეობისა და სინდისისა. არ მიიღო სავსებით, მაგრამ ნაწილ-ნაწილად მაინც შეუდგა მის განხორციელებას და ჩუმად აგრძნობინა სამღვდელოებას, რომ არა უშავს-რა, თუ ზოგიერთ შემთხვევაში სამღვდელოება მოიქმედებს იმას, რაც ეწინააღმდეგება მის სახელს. ამ შემთხვევაში ბიუროკრატია ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, რომ თუმცა ჯაშუშობა ცუდია, მაგრამ სამღვდელოებამ რომ თავის მრავალ სიცუდეს ეს სიცუდეც მიუმატოს, არა დაუშავდება რაო.

პოლიცია, ყველგან, ყოველთვის პოლიცია. აღარ დარჩა კუნჭული, სადაც არ იყოს დაბინავებული პოლიცია. სკოლა, სასამართლო, ფოსტა-ტელეგრაფი, ეკლესია, სახლი, ქუჩა, მოედანი, მთა და მინდორი—სულ პოლიციელებით გაივსო. ამის საქმე-კი არა, საიქიოსაც პოლიცია დაეპატრონოს. ემზადება პოლიცია, ემზადება საბრძოლველად და... თავის თავის დასამარცხებლად.

* *

მაგრამ განა ჰგრძნობს ბიუროკრატია და მისი მარჯვენა ხელი—პოლიცია თავის აღსასრულის დღის მოახლოვებას? არა, ბიუროკრატია ღრმად დარწმუნებულია, რომ ბატონობა ისევ მას დარჩება, რომ დედამიწაზე არაფერი ცვლილება არ მომხდარა, ყველაფერი თავის რიგზეა: მზე ამოდის და ჩადის... რაპორტები იწერება, გამოძიება სწარმოებს, დამნაშავენი ისჯებიან; მართალია, ხან და ხან აქაიქ მცირე რამ უწესობა ხდება, რაიც საერთო ბედნიერების და კმაყოფილების ჰგრძნობას არღვევს, მაგრამ ამის შესახებ საშიში ზომები მიღებული და თავის დროზე აღკვეთილი იქნება; ამბოხება და უწესოება გამოწვეულია ორიოდე „მავნებელი“ ადამიანის ჩაგონებით, თორემ განა ხალხი მადლიერი არ არის? ან რატომაც არ იქნება ხალხი მადლიერი?—მიწა არა აქვსო? რა ვუყოთ მერმე.—გაჭირვებული არისო? პოთიმინოს, მაშ რაღა ხალხია.—ღარიბია? აგრეც უნდა იყოს, რადგან თუ ხალხი ღარიბი არ იქნა, მდიდრები საიდანღა გაჩნდებოდნენ!—სამართალი არ არისო? ახირებული მოთხოვნაა! სამართალი განა აგრე იყოა, რომ ყველას დაერიგდეს?—თავისუფლება გვინდაო? მაგათ რომ თავისუფლება მივცეთ, ჩვენ ხომ ხელფეხი უნდა შევიკრათ, და ის არ სჯობია, რომ ისევ ჩვენ ვიყოთ თავისუფალი და ხალხი შებორკილი? ჩვენ ხომ მეტი ფასი გვაქვს?—განათლება გვინდაო? საკვირველია. რა სჯობია გაუნათლებლობას, როდესაც ვერავითარ სიბოროტეს ვერ ხედავ ქვეყანაზე, ყველაფერი წესიერად მიგაჩნია, უფროს-უმცროსობას პატივსა სცემ, ღმერთი გიყვარს, მთავრობას ემორჩილები და ერთობის კაცებს არაფერს დაუჯერებ.—რატომ ჩვენს დედა-ენაზე არ გვასწავლით? რატომ ჩვენს ენაზე არ არის სამართალი, რატომ ჩვენს ენაზე არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ყველგანო? ესეც ბრიყვული აზრია. ხალხმა რომ თავის ენაზე ილაპარაკოს, მაშინ ჩვენც ხომ ხალხის ენა უნდა ვისწავლოთ?—მერე თქვენ რა მოხელე ხართ, გაგებულეთ, ჩვენ თვითონ მოვუვლით ჩვენს თავსო? ჩვენ უკეთ ვიცით ჩვენი ჭირი და ლხინებაო?“ ესეც ყოვლად შეუძლებელია: უჩვენოთ თქვენ ვერ გასძლებთ, ერთმანეთს შესჭამთ და თანაც ქვეყანა უნდა გაერთდეს, ყველაფერმა ერთი ხასიათი და ფერი უნდა მიიღოს, ერთს ძალას, ერთს ცენტრს დაემორჩილოს, მაშინ მთავრობა ძლიერია, ბიუროკრატია ყველაფრის შემძლებელია და ყველას ბატონია...

ბიუროკრატიას სჯერა, რომ არაფერი შეცვლილა და არც შეიცვლება მომავალში. ბიუროკრატიას ისიც სჯერა, რომ შორეულ აღმოსავლეთში დამარცხებული იაპონია. ამის შემდეგ რას არ დაიჯერებს ბიუროკრატია! არ არის ისეთი დაუჯერებელი ამბავი, რომელსაც არ დაიჯერებს ბიუროკრატია. ბიუროკრატიას სჯერა ყველაფერი, რაც კი მის სასარგებლოდ ლაპარაკობს, ზღაპრებიც კი სჯერა, თუ ზღაპრები ბიუროკრატიულია. მაგრამ არა სჯერა, არც უნდა გაიგონოს, თუ რამ მისი საწინააღმდეგოა.

ამ თვის ექვსს უმაღლესი მთავრობის წინაშე წარსდგენ ერობის და ქალაქების წარმომადგენელნი და განუცხადეს, რომ ყოვლად შეუძლებელია იმ მდგომარეობაში დარჩენა, რომელშიაც იმყოფება დღეს რუსეთი, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას სახალხო კრება სახელმწიფო საქმეების მოსაწესრიგებლად, რომ მხოლოდ ხალხის არჩეულ ადამიანებს შეუძლიათ უპატრონონ ქვეყანას.

ეს აშკარად და ნათლად გამოთქმული აზრი, ეს დაგმობა ბიუროკრატიულის წეს-წყობილებისა, უარყოფა სულთამხუთავის ძალმომრეობისა, ბიუროკრატიის მეღროშე გაზეთმა „მოსკოვის უწყებებმა“ თავისებურად გადათარგმნა, გადააკეთა და აუწყა თავის მკითხველებს: „ერობის და ქალაქების წარმომადგენლებს ყველაზე უკეთ ესმით, რომ შინაური არეულ-დარეულობა, რომელსაც ხელს უწყობენ საქალაქო და საერობო თვითმმართველობანი, მავნებელია რუსეთის სახელმწიფოსათვის და ეხმარება გარეშე მტერს. ამიტომ ამ წარმომადგენლებმა ყველაზე უკეთ აუხსნეს ხელმწიფეს ის მავნე მიმართულება, რომელმაც გამოიწვია რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა. ეს მიმართულებაა—თვითმმართველობის, ხალხის სახელმწიფო საქმეებში ჩარევის აზრის გავრცელებაა“...

ამ გვარად გრინგმუტის გაზეთის განმარტებიდან ის უნდა დაასკვნან მკითხველებმა, რომ რუსეთის დღევანდელი უბედურება ბიუროკრატიის ბრალი კი არ არის, არამედ ბიუროკრატიის მტრების საქმეა, და სწორედ ეს უთხრეს (და არა სხვა) უმაღლეს მთავრობას ქალაქების და ერობის წარმომადგენლებმა.

თ. მეშჩერსკი, მეორე დიდი თაყვანისმცემელი ბატონყმობისა და დღევანდელი წესწყობილებისა, კიდევ უფრო შორს მიდის, დასცინის, ლანძღავს თვითმმართველობის წარმომადგენლებს, აქტიორებს ეძახის, რომლებიც ჩამოვიდნენ პეტერბურგში კომედიის წარმოსადგენადო, და ეკითხება მათ: „ვაჟბატონებო! რა გნებავთ, რუსის თვითმპყრობელ მეფისაგან, როდესაც იგი და მისი ხალხი ისე შეწუხებულიაო“. ბოლოს განრისხებული თავადი ასე ათავებს თავის წერილს: „ჩემთვის იმ ამბავს, რაც მოხდა 6 ივნისს ხელმწიფის პეტერგოფის სახლში, ის მეტად დიდ-მნიშვნელოვანი ისტორიული აზრი აქვს, რადგან ამ ახირებულმა დეპუტაციამ შეძლება მისცა ხელმწიფეს, გამოეცხადებია, რომ სახელმწიფო ცხოვრებაში ახალი არაფერი მოხდებაო!“...

მახსოვს: ჩინეთის და იაპონიის ომი რომ იყო, ჩინეთის დეპეშებში სულ იმას გვატყობინებდნენ, ვიმარჯვებთ, მტერს ვამარცხებთ და მალე ტოკიოში შევალთ და იქ დავსწერთ ზავის პირობასაო. ასე გვწერდნენ ჩინელები, მაგრამ სინამდვილე სულ სხვა იყო თურმე...

სიტყვა.

იმ შეზღუდულ პროგრამებით, რომელიც მიღებულია კლასებში? თქვენ ხარხარებთ და მტკნარ სისულელედ მიგაჩნიათ ფილოსოფიის, პსიხოლოგიის, პოლიტიკურ-ეკონომიის და სხვა ამგვარ საგნების სწავლება, მაგრამ მოიგონეთ ფრანგული ანდაზა: „კარგად იცინის ის, ვინც უკანასკნელი იცინის". ძნელია პრინციპიალური სჯა-ბაასი იმასთანა, ვისაც შეუსისხლხორცებია ძველის რეჟიმის პროგრამები და მათ ეტრფიალება, სჯობს გადავიდეთ იმ საბუთებზე, რომელიც ნებას აძლევს ბ-ნ ლულაძეს დიდის რიხითა ბძანოს: „აი, ასეთ გონივრულ მოსაზრებაზეა აგებული ეს ახალი პროგრამა! წარმოიდგინეთ, ძველ სკოლისაც კი არ განუვითარებია ამ ზომამდის მოსწავლეთა წამების სისტემა! განა მართალი არ ვიყავით, ზევით რომ მოგახსენეთ. „პროექტების თეზისებით აბსურდამდეა მიყვანილი დღევანდელ სკოლის პრინციპები მეთქი". ძალიანა სჩქარობთ და გამარჯვებას დღესასწაულობთ. ერთად-ერთი საბუთი თქვენის რიხიანის მტკიცებისა ის გახლავთ, რომ ეხლანდელ სკოლის უვარგის პრინციპს, მრავალ საგნოვანებას, ჩვენ ვაზვიადებთ და არა ვფიქრობთ, რამდენ საათის სამუშაოს ვაკისრებთ მოსწავლეებს. თქვენის გამოანგარიშებით მოსწავლემ უნდა იმუშაოს არა ნაკლებ 12 საათისა, თუ ჩვენი წინადადება ასრულდა. მკითხველი გაკვირვებულია, ეს რა უტვინო მასწავლებლები ყოფილან სათავად-აზნაურო სკოლაშიო; განა შეიძლება ბავშვის ნორჩმა აგებულებამ ამოდენა შრომა აიტანოს! მაგრამ, მკითხველო, ხომ მოგეხსენება ქართული ანდაზა „არც ისე წვიმს, როგორც ჰქუხსო". ბ-ნმა ლულაძემ ქუხილი კი მძლავრი იცის, მაგრამ იმის ქუხილს შედეგად არაფერი მოსდევს.

ბ-ნი ლულაძე დარწმუნებულია, რომ ძირითადი საკლი, ახლანდელ სკოლისა, სხვათა შორის, არის მრავალ-საგნოვანება. ახლანდელი სკოლა იმდენ სხვა და სხვაგვარს ცნობებს აძლევს მოწაფეს, რომ მისი გონება ველარ ითავსებს, ჩლუნგდება, და სწავლა წამებად იქცევა. იმის აზრით ეს არის უკანასკნელი სიტყვა პედაგოგიისა და მისი უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ უმეცართ, როგორნიც არიან სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელნიო. კაბინეტში გამოგონილი აზრი სჯობს ისევ კაბინეტში დარჩეს. ცხოვრება—საუკეთესო მასწავლებელია. ეს ჭეშმარიტება მთელმა კაცობრიობამ სთქვა და საფუძვლელიც ჰქონდა. წიგნური (КНИЖНЫЙ) ცოდნა არ არის ისეთი მტკიცე და შეურყეველი, როგორც ცოდნა, რომელიც ცხოვრებამ შეასწავლა კაცს. მაქსიმ გორკს არ ჰქონია ბედნიერება შეესწავლა ჩვენი სკოლის სიბრძნე, მაგრამ შეედაროს ვინმე ცხოვრების ცოდნაში, და ეს ხომ მთავარი საგანია სკოლისა. ცხოვრება კი მრავალ-საგნოვანია. ცხოვრების სკოლაში იმდენი საგანია, რამდენიც არ არის მთელ დედამიწის ზურგზე არსებულს სკოლებში, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ცხოვრების სკოლის მრავალ-საგნოვანობა უჩლუნგებს ადამიანს გონებას, ცოდნის შეძენას წამებად უხდის. არავინ. რატომ? იმიტომ, რომ ცხოვრება არა ჰგავს ჩვენის სკოლის მასწავლებლებს. იმათ გაუზეპირებიათ, რომ არის ორგვარი საშუალება ცნობებისა, აკროამატიული და დიალოგიური, და თავიანთ თავი დიდ პედაგოგებად მიაჩნიათ. ცხოვრებამ ის დიდაქტიკა არ იცის, რომელსაც ეტრფიან ჩვენი პედგოგები; ცხოვრებას აქვს ერთი ხერხი სწავლებისა: ფაქტების ლოღიკა, მათი სინათლე. მარტივია ეს ხერხი, მაგრამ ძრიელი და ნაყოფიერი. მაშ, ცხადია, რომ მარავალსაგნობა ნაკლიკი არ არის სკოლისა, ღირსებაა. საქმე ისკი არ არის, რომელ საგანს ასწავლი სკოლაში, არამედ ის რას ასწავლი და როგორ. შეიტანეთ პირველ კლასის კურსში მარტო ერთი საგანი ალგებრა და, თუნდაც კვირაში 30 გაკვეთილი გქონდეთ, თქვენი სწავლება ნაყოფს ვერ მოიტანს. ყოველ ასაკს სათანადო მასალა სჭირია. ეხლა შეიტანეთ პირველ კლასის კურსში გეოგრაფია. საგანი პირველ კლასის მოწაფეების ასაკს შეეფერება, მაგრამ ამ საგანს მასწავლებელი ასწავლის ძველებურად: აქედან აქამდის. ეჭვი არ არის, რომ ნაყოფი კარგი არ იქნება.

მრავალსაგნოვანება-კი არ უჩლუნგებს გონებას მოსწავლეს ეხლანდელ სკოლაში, არამედ შეუფერებელი მასალა და მისი უვარგისი დამუშავება. რასაკვირველია, სხვა ბევრი ხელის შემშლელი პირობაც არის ეხლანდელ პირობებში.

აი ამ მხრივ უნდა შეეხედნა ბ-ნ ლულაძეს პროექტის წინადადებისთვის და თავის „მკაცრ" კრიტიკაში გაეტარებინა. ის-კი შეშინებული გაიძახის: „Караулъ! Разбойники, убійцы! Спасайте!" როცა ცოტა დამშვიდდება ხოლმე, ბ-ნი ლულაძე თითებზედ სთვლის, რამდენი საათი მოუნდება ახალ და ძველ გაფართოვებულ საგნებს: ბუნების მეტყველებისთვის—ოთხი საათი; ფრანგულ და გერმანულ ენებისათვის—ოთხი საათი; ქართულ ენას, ისტორიას და ლიტერატურას—ოთხი საათი, ამ გვარად სჭირდება 16 საათი, ჩვენ-კი გვექნება 7 და 8 კლასში თავისუფალი 15 გაკვეთილი. კიდევ სისულელე! რატომ აქამდის საგიჟეთში არ ჩაუმწყვდევიათ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლები. რა კარგი იქნება, რომ ეს უფლება ბ-ნ ლულაძეს მისცენ. სანამ ეს უფლება არ მოუციათ თქვენთვის, იქნება მოგვისმინოთ და აზრი შეიცვალოთ. ბატონო, ეხლანდელ სკოლაში ოთხ-ოხი საათი კი არა, ათ-ათი რომ მიუმატოთ, მაინც ცოტა იქნება და მასწავლებლები დანიშნულ კურსს ვერ გაივლიან. ყოველ მასწავლებელს თავისი საგანი მთავარი საგანი ჰგონია, რომელიც, თუ სავსებით არ შეისწავლა მოწაფემ, დაიღუპებაო. მაგ., მე მგონია, რომ თუ ჩემმა მოწაფეებმა არ იციან, როგორ კანკლედობს ВЪЛКЪ ЗЪЛЪ, ან თუ გაზეპირებული არა აქვს „Слово о полку Игоревѣ", უმეცრები არიან. რასაკვირველია, მე არა მყოფნის ის დრო, რომელიც დამითმეს და ვითხოვ არა ოთხ საათს, არამედ ათ საათს. იქნება ბატონმა ლულაძემ თხუთმეტი საათი მოითხოვოს, რომ სავსებით შეესწავლოს ისტორია რუსეთისა რიურიკიდან მის საყვარელ, როგორც ერთ „რეჩში" ჰლაღადებს, ალექსანდრე მესამემდის. ეგრე სად წავა? თითებზედ რომ სთვლით საათებს, საფუძვლიც უნდა გქონდეთ. სავსებით სწავლა და გაფართოვება იმას-კი არა ნიშნავს, რომ საგნის შინაარსი ათასგვარ წვრილმანებით აავსეთო, როგორც ეხლაა და რასაც დღეს ბევრი დრო უნდება, არამედ ნიშნავს საგნიდან არსის ამოღებას და მის ჯეროვანად შესწავლას. და თუ ეს პრინციპი მივიღეთ სახეში, მაშინ მეტ ბარგს გამოვრიცხავთ ეხლანდელ საგნებიდან და ამიტომ საათების მომატებაც არ მოგვინდება. მეორე, ეხლანდელ სკოლაში მასწავლებლები ვერ ასწრობენ საგნების კურსის დამთავრებას უფრო იმიტომ, რომ კლასები მრავალ რიცხოვანია და გამეფებულა ნიშნების ძლიერება. მასწავლებელმა მეოთხედი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც უნდა ჰკითხოს ნიშნის დასაწერად მოწაფეს. ამათი რიცხვი თითქმის ყველგან 40 აღემატება. რასაკვირველია, ნახევარი ნაწილი გაკვეთილებისა მოწაფეების გამოკითხვას უნდება და კურსის ჯეროვანად შესათვისებლად დრო აღარა რჩება. ჩვენ ვეცდებით, ეს დაბრკოლება ავიცილოთ. ხომ დამეთანხმებით, რომ შესაძლებელია, და მაშინ ხომ სრულიად საკმაო 20 გაკვეთილი, რომელიც განთავისუფლდება ჩვენის ანგარიშით 6, 7, 8 კლასებში. ამ ოც გაკვეთილს დაუთმობთ ფსიხოლოგიას, პოლიტიკურ ეკონომიას, კულტურის ისტორიას, ფილოსოფიას, ბუნების მეტყველებას და ქართულ ენას და, ჩვენის ანგარიშით, 20 საათი სრულიად სამყოფია. რო დაგვაკლდეს კიდეც, რა იქნება იმის მეტი, რომ რომელსამე საგანს. ვერ შევიტანთ პროგრამაში: ახალ საგნების შესახებ ჩვენ გვსურს მოვიპოვოთ მხოლოდ უფლება მათის შეტანისა, თუ შესაძლებელი იქნება.

დაგვრჩა ერთი საგანი, რაზედაც ბ-ნი ლულაძე გვეკამათება. „ახლა ვიკითხოთ, როგორ უვითარებენ ესტეტიურსა და ფიზიკურ მხარესო?" ამ საგნის შესახებ პროექტში კრინტიც არ არის დაძრული. ამგვარ კამათს გასწევს მხოლოდ ისეთი კაცი, რომელსაც სურვილი აქვს მაინც და მაინც დაამციროს სხვისი საქმე. ბ-ნ ლულაძეს უკვე მოვახსენეთ კრებაზედ: „რადგან ჩვენ ესტეტიკოსები და ფიზიკურ აღზრდის მცოდნე პირნი არ გახლავართ, და არ გვეყვარს მშრალის ფრაზებით ლაპარაკი, ამიტომ საჭიროდ ვსცანით გარეშე მცოდნე კაცი მოგვეწვია, მაგრამ დაგვიანდა. ეხლა შემუშავებულია პროექტი ამ მხრივ და, თუ სურს, მოვახსენებთო".

ეხლა მკითხველმა გადასწყვიტოს, მართალია თუ არა ბ-ნი ლულაძე.

შ. ჩიტაძე.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

18 ივნისი

ბუნჩულინი, 17 ივნისს. როგორც სჩანს, იაპონელები იჭერენ ერდაგოუ-მენხუაგაი-ციონინგარ-სიანცზიატაი—ვისილაის მოწინავე რაზმის რაიონებს. 14 ივნისს ქვეითა და ცხენოსან რაზმების მზვერავებმა სცადეს ჩვენს ჯარში შემოჭრა, მაგრამ ვერ მოახერხეს. იაპონელები ცინხეს იქით განდევნეს.

ვაშინგტონი. როგორც იუწყებიან, დროებით ზავის ჩამოსაგდები მოლაპარაკება კვლავ გრძელდება. ფიქრობენ, დროებით ზავს პირობები ლინევიჩსა და ოიამას შორის მოხდება.

ამსტერდამი, 17 ივისი. გაზეთები იუწყებიან, რუსის კრეისერ „ტერეკმა" უნდა აიყაროს იარაღი, ვინაიდგან შეუძლებელია ნახშირი დაუდოს დანიშნულ ვადაზე.

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. გაზეთები იუწყებიან, ლონდონის გაგებულ წყაროებიდან ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობის ტექსტი მზადაა და, შესაძლებელია, ჩქარა გამოქვეყნდესო.

პეკინი, 17 ივნისი. მოვიდა პოკოტილოვი.

პარიზი, 17 ივნისი. ხვალ რადოლინი ინახულებს რუვიეს. შესაძლებლად სცნობენ, ერთს კვირაში დაასრულონ მაროკოს ინციდენტი.

რომი, 17 ივნისი. სენატმა მიიღო სამხედრო ფლოტისათვის ხარჯის გადიდება.

კანეია, 18 ივნისი. სუდამოს მოვიდა კანონერკა „ხრაბრი." ქალაქის მთავარი პუნქტები უცხოეთის ჯარებს უჭირავთ.

ვაშინგტონი, 18 ივნისი. გარდაიცვალა სტატს-სეკრეტარი გეი.

მოსკოვი, 18 ივნისი. ქალაქების წარმომადგენელთა სიეზდის უკანასკნელ სხდომაზე 18 მონაწილე სიეზდისა შეურთდა პეტრუნკევიჩის განსაკუთრებულ აზრს ქალაქის მცხოვრებთა დიდის საარჩევნო უფლებების საკითხის შესახებ მიღებულ იქნა საერთო-საერთოდ ბიუროს წინადადება ერთად განიხილონ ბულიგინის პროექტი ივლისის დასაწყისს. ბიუროს შემდეგ წევრებად ქალაქების წარმომადგენელთა მოსაწვევად ამოირჩიეს გოლიცინი, ბოგორედკი, შემორსკი, ალეხინი, შჩეპკინი, გუბკოვი, კრასოვსკი, ფეოდოროვი, პეტრუნკევიჩი, ბელგასკი, სტილბოვსკი, იანჩევსკი და ნემიროვსკი. ოდესის მოურავმა კროჟანოვსკიმ აზრი გამოსთქვა, აქ შემუშავებული რეზოლიუცია რუსეთის ხალხმაც გაიგოსო. რჩევა დაიხურა ღამის 12 ს. დღეს მეორე დღეა მობილიზაციისა. სიმშვიდეა. მოვიდა მინისტრი ხილკოვი.

რეველი, 17 ივნისი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ არეულობანი გაპსალში მოისპო, მუშებმა, 13 კაცს გარდა, ანგარიში აიღეს და მუშაობას შეუდგნენო.

ვარშავა, 18 ივნისი. გუშინ სადამოს საქსონიის ბაღთან მანიფესტაციის მოხდენა მოინდომეს.

სირაძი, 18 ივნისი. ზდუნის ვოლაში სიწყნარეა. ფაბრიკები და შინა მრეწველნი არ მუშაობენ, თუმცა გუშინდელ სხდომაზე შეთანხმდნენ შინა მრეწველნი და მეფაბრიკენი.

პარიზი, 18 ივნისი. (ჰავასი). მინისტრთა საბჭოს რუვიემ განუცხადა, რომ მაროკოს შესახებ მოლაპარაკება სასურველ გარემოებებში სწარმოებსო. ბერლინიდან [illegible] ცნობით, ბიულოვისა და ბიჰურს შორის მომხდარი თათბირი ნებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ მოლაპარაკება კიდევ უკეთეს პირობებში მოხდება.

ისტერზუნდ, 18 ივნისი, (შვეცია). დრონტხეიმიდან იტყობინებიან, რომ სამ გზაზე გამოყვანილი ნორვეგიის ჯარი შეიარაღებულია. 13 ივნისის ღამეს საზღვრისაკენ წავიდა 200 კაცი ქვეითა ჯარისა, დრონტხეიმიდან სამხრეთისაკენ გაიგზავნა 65 ვაგონი და 2 ორთქლმავალი. დრონტხეიმის ფიორდის შესავალთან დადგა ერთი კანონერკა და ნაღმოსანთა ფლოტილია.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

18 ივნისი

ხარბინი, 18 ივნისი. „დეილი ტელეგრაფ"-ის ცნობა, ვითომც იაპონელები მოახლოვებოდნენ ხარბინს, რასაც შიშის ზარი გამოეწვიოს მტკნარი სიცრუეა. არავითარი შიში არაა. სანიტარული მდგომარეობა ჩინებულია, მოარული სენი არ არის. იუწყებიან სამხრეთიდან, აღმოსავლეთის ფრონტზე იაპონელები მიიწევენ წინაო. ჩქარა ბრძოლას მოელიან.

ტოკიო, 17 ივნისი. იუწყებიან, რომ ჩინეთის მთავრობამ გადაწყვიტა კადეტები იაპონიაში გზავნოს საზღვაო საქმეების შესასწავლათ.

მოჯი. 16 ივნისი. იაუნიდან მოსულ ოფიცრის ცნობით, ლინევიჩს თუმცა მაშველი ჯარი კი მოსდის, მაგრამ საეჭვია რომ მან წინ გაილაშქროს; ტაროსი ხელს უწყობს ჯარის მოძრაობას. ლინევიჩის მთავარი სადგომი ჩანტაფუსთან არის რკინის გზაზე. მიშჩენკო ყაზახებით ბეჯითად მოქმედებენო. მეორე ოფიცრის სიტყვით, როცა იგი წამოსულა ფრონტიდან, მოპირდაპირეთა შორის 4000—200 მეტრის მანძილი ყოფილა. დიდი ბრძოლა მოხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეიქნება პირობები. იაპონელები დიდძალ ჯარს აგროვებენ რუსების წინა სიმაგრეების პირდაპირ.

ტოკიო. პორტ-არტურის ზღვაში 2000 ნაღმი კიდევ აწყვია.

პეტერბურგი, 17 ივნისი. ომიანობის დროის წესები გამოცხადდა სევასტოპოლისა და ნიკოლაევსკის საგრადონაჩალნიკოებში.

ბუდაპეშტი, 17 ივნისი. [illegible] ფეიერვარისთან ბჭობა ექნებათ ოპოზიციის ყველა მეთაურთ იმ საკითხის გამოსარკვევათ თუ, როგორ მოხდეს ყველა პარტიების შეერთება. კონფერენციის დაბოლოვებაზეა დამოკიდებული ფეიერვარის მომავალი მოქმედება.

ათინა. კანეიდან მოსულ ცნობით აჯანყებულთა და უცხოელ ჯარის შორის სისხლის მღვრელი შეტაკება მომხდარა. დაწვრილებით ცნობები არ არის.

კანეია. რუსების ჯარებსა და აჯანყებულთა შორის შეტაკება მოხდა. რუსის სამხედრო გემი „ხრაბრი" ზარბაზნებს ესვრის კოდომბარის. იტალიის გემებმა არტილერია გადმოსხეს, მდგომარეობა სერიოზულია.

სტამბოლი. ხმები რომ იემენის ჯარებმა ფეიზი-ფაშას მეთაურობით ხელ-ახლა დაიჭირეს ქალაქი სანა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტლონი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმეს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 ოქოევისა. (30—2)

ახალი საშუალება

გორო-ნავთალინი

სრულიად სპობს თავის ქერტლს, ამაგრებს თმას და ხელს უწყობს იმის ამოსვლას. ამასთან თმას ბუნებრივი ფერი ეძლევა.

ნება დართულია სამკურნალო განყოფილების მიერ და ცნობილია ისეთ ნივთიერებად, რომელიც ჯანმრთელობას არა ვნებს. საწყობი საადთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობისა, ტფილისსა, ბაქოსა და ბათუმში რუსეთის აფთიაქებსა და საათფთიაქო მაღაზიებში. (4—254—2)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ლოკშ-გელბორდტი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 7 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—7)

იმერეთის ბაზრიელის სახელობის საქალებო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭო, თანახმად თავის დადგენილებისა, ამით აცხადებს ზემო აღნიშნული სასწავლებლის მოწაფეების მშობლებთა და მზრუნველთა საყურადღებოდ:

1) კლასიდან კლასში გადასაყვანი და სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დაიწყება 16 აგვისტოს და გასტანს 6 ენკენისთვემდე; 2) სხვა ეპარქიების და საერო სკოლების მოწაფენი, რომელთაც ჯერ შემოუტანელი აქვთ მიმდინარე სამოსწავლო წლის მეორე ნახევრის სწავლის ფული, ვალდებულნი არიან ეს ფული ეგზამენების წინ წარმოადგინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასწავლებლიდან დათხოვნილ იქნებიან; 3) საგნებში გამოცდა მოხდება სრულის პროგრამით. (2—2)

იყიდება მეწვრიმლის დუქანი

თავის საყასპოთი

ადრესი: ვაგზლის დიდი ქ. № 14 ნ. ნადიროვი. (2—1)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაზორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—3)

რკინის გზის დაინდკუზე, სადგურ „სერნიე ვოდი"-ს მახლობლად ოკრიჯი გახსნილი

„კველი საწირის მოგირდის აბანოები"

[illegible] ფასი ნომრის 30 კ.—60 კ., 1 მან. და 1—20 კ. [illegible] (5—2)

„ცოდნა" ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის" მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. მსურველთ წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დარბაზის მოსართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები 30 კ. 50 კ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОНДНА".

(წდ.) წიგნის მაღაზიის გამგე სოსიკო მერკვილაძე.

პირველი

კუბოს მაღაზია

გიორგი კიკნაძისა



ყველა ნაირი მოწყობილობა, რაც კი ეჭირვება კუბოებს. ვიღებ შემოკვეთას, რასაც ვასრულებ სუფთად და იაფად. ვანქის დიდი ქუჩა „ცნობის ფურცლის" რედაქციის ვერდით. (0—4)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოებს ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფელ-მაღალები და სანდალიები. ყველა ეს შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქის საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

СПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საქარხნო ნიშანს

ნარდად გაყიდვა

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ"

საქონლისა წარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346. იქვეა მრავალ

ტყავეულობა

რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა (60—[illegible]—51)